

მიუსაფარ ცხოველთა პოლიტიკა საქართველოში და ევროკავშირის პრაქტიკა

ეკატერინე ნინუა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, სახელმწიფო მართვისა და საჯარო პოლიტიკის პროგრამის მაგისტრი

ელ. ფოსტა: ekaterine.ninua805@sps.tsu.edu.ge

აბსტრაქტი

ნაშრომი იკვლევს მიუსაფარ ცხოველთა პოლიტიკას საქართველოში და ევროკავშირის პრაქტიკას. საქართველოში უსახლკარო ცხოველთა შესახებ კვლევები აქცენტს, ძირითადად, მათი უფლებების დაცვაზე აკეთებს და ფაქტობრივად არ ფოკუსირდება მიუსაფარ ცხოველთა პოლიტიკის ინსტრუმენტებზე. მოცემული ნაშრომი პირველია, რომელიც საქართველოში მიუსაფარ ცხოველთა პოლიტიკის ინსტრუმენტებს შეისწავლის, ევროკავშირის პრაქტიკასთან შედარებით ანალიზს ახორციელებს და მათ შორის მსგავსება-განსხვავების მიზეზებს ადგენს. ანალიზი განხორციელებულია მიუსაფარ ცხოველთა პოლიტიკაში ჩართული პირების - სსიპ თბილისის ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს, რუსთავის ა(ა)იპ ცხოველთა მონიტორინგის ცენტრის, შიდა ქართლისა და კახეთის მიუსაფარ ცხოველთა მართვის ინტერმუნციპალური სააგენტოების - წარმომადგენლებსა და სფეროს ექსპერტებთან ინტერვიუების, ასევე, ცხოველთა ყოლის, მოვლა-პატრონობისა და მათი პოპულაციების მართვის შესაბამისი ქართული მარეგულირებელი ჩარჩოს, სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსებიდან ცხოველების მიმართ სასტიკად მოპყრობის მუხლებისა და ზემოხსენებული სააგენტოების წესდებების, აგრეთვე, ევროკავშირის ქვეყნებში არსებული შესაბამისი კანონების, რეგულაციებისა და პოლიტიკის სხვა ინსტრუმენტების შესახებ კვლევების საფუძველზე.

კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ საქართველოში მიუსაფარ ცხოველთა პოლიტიკა, ძირითადად, სააგენტოების შექმნის, მოთხოვნების დანერგვის, რეგულირების, სახელმწიფო სააგენტოების ერთმანეთთან, კერძო კლინიკებთან და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის, შეთანხმებების, სახელმწიფო პროგრამების დაფინანსებისა და სერვისების მიწოდების, (ინტერნეტით, ბროშურებითა და სკოლებში პერიოდული შეხვედრებით) ინფორმაციის გავრცელების ინსტრუმენტებით ხორციელდება. აღნიშნული ინსტრუმენტები ევროკავშირის მიერ გამოყენებული ამავე პოლიტიკის ინსტრუმენტების მსგავსია. რაც შეეხება

განსხვავებებს, საქართველოში, ევროკავშირისგან განსხვავებით, არ გამოიყენება ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის, მათი თანადაფინანსების, სუბსიდირების, გრანტების, აგრეთვე, ცხოველთა ფლობის გადასახადის ინსტრუმენტები; ბრიდერთა და ვეტერინართა ლიცენზირების ინსტრუმენტები; პოსტერებით, ტელევიზიით რეკლამირების, მოსახლეობასთან ხშირი და მასობრივი შეხვედრებით, სპეციალური სასკოლო სასწავლო პროგრამებით ცხოველთა თავშესაფრებიდან აყვანის, ცხოველთა სწორად მოვლა-პატრონობისა და მიუსაფარ ცხოველთა შესახებ ცნობიერების ამაღლების ინსტრუმენტები; ფრაგმენტული და მწირი და ნაკლებად მკაცრია ცხოველთა მოვლა-პატრონობასთან, მიუსაფარ ცხოველებთან, მათ ევთანაზიასთან დაკავშირებული კანონები; მოთხოვნები და რეგულაციები კი, ევროკავშირში (განსაკუთრებით, მკაცრი და ზომიერად მკაცრი რეგულაციების მქონე ქვეყნებში) არსებულ იმავე სახის მოთხოვნებსა და რეგულაციებთან შედარებით, ნაკლებად მკაცრია. აგრეთვე, დადგინდა, რომ ინსტრუმენტთა მსგავსების მიზეზები ევროკავშირის ქვეყნებთან მიუსაფარი ცხოველების პოლიტიკისა და, შესაბამისად, ინსტრუმენტების ჰარმონიზაცია და კომუნიკაციაა, ხოლო განსხვავების მიზეზები საქართველოში წარსულზე დამოკიდებულება და ხარჯების გაზრდის დაბალი პოლიტიკური ნებაა.

საკვანძო სიტყვები: მიუსაფარ ცხოველთა პოლიტიკა, მიუსაფარ ცხოველთა პოლიტიკის ინსტრუმენტები, საქართველოსა და ევროკავშირის პრაქტიკის შედარება

Ekaterine Ninua, Master of Public Administration (Ivane Javakhishvili Tbilisi State University)

Stray Animals Policy in Georgia and the EU Practice

Abstract

The paper explores stray animals policy in Georgia and the practice of the EU. Accordingly, the aim of the research is to study homeless animals policy in Georgia and compare it with the practice of the EU countries. Studies on stray animals in Georgia mainly focus on the protection of their rights and overlook stray animal policy instruments. This paper is the first to explore homeless animals policy instruments in Georgia, compare them with the practice of the EU countries and determine the reasons for similarities and differences between them. The analysis was carried out based on the interviews with the individuals involved

in the stray animals policy - the representatives of LEPL Tbilisi Animal Monitoring Agency, N(N)LE Rustavi Animal Monitoring Centre, N(N)LE Shida Kartli and Kakheti Intermunicipal Agencies for Homeless Animals Management – and the experts in the field; Relevant Georgian regulatory framework for the ownership, care and management of animals, articles of the Codes of The Criminal Law and Administrative Offenses about cruelty to animals, statutes of the aforementioned agencies, as well as researches about relevant laws, regulations and policy instruments in the EU countries.

During the research, it was revealed that stray animals policy in Georgia is mainly carried out through creation of agencies, introduction of requirements, regulations, cooperation of state agencies, private clinics and international NGOs, agreements, financing of state programs and provision of services, information dissemination (through internet, brochures, periodic meetings in schools) instruments. These instruments are similar to the policy instruments used in the EU countries. As for differences, in Georgia, unlike the EU, the following instruments are not used: cooperation with local NGOs, co-financing them, subsidies and grants, pet ownership taxes, licensing of breeders and veterinarians; Advertising through posters and television, frequent and mass meetings with people, special school curricula as tools for raising awareness about stray animals, adopting animals from shelters and proper care of animals; Laws related to animal husbandry, euthanasia and homeless animals are fragmented and sparse. The requirements and regulations in Georgia are less strict than the same type of requirements and regulations in the EU countries (especially in countries with strict and moderately strict regulations). Also, it was determined that the reasons for the similarity of the policy instruments are communication and harmonization of stray animals policy and, therefore, its instruments with the EU countries; while the reasons for the difference are path dependence and low political will to increase costs in Georgia.

Key words: stray animals policy, stray animals policy instruments, comparing Georgia and the EU practices

შესავალი

მიუსაფარ ცხოველთა ჭარბი პოპულაცია, დღესდღეობით, ერთ-ერთი სერიოზული და აქტუალური გლობალური პრობლემაა, რომელსაც საზოგადოებაზე, გარემოზე, საზოგადოებრივ ჯანმრთელობასა და თავად ცხოველთა კეთილდღეობაზე მრავალი უარყოფითი გავლენა აქვს (Abdulkarim et al., 2021). ზოგადად, მიუსაფარი ცხოველები არიან „შინაური კომპანიონი ცხოველები (უმეტესწილად, ძაღლები და კატები), რომელთაც არ გააჩნიათ სახლი ან ცხოვრობენ პატრონის მეურნეობის საზღვარს გარეთ და მფლობელის მეთვალყურეობის ქვეშ არ იმყოფებიან” (European Convention for the Protection of Pet Animals, 1987). შესაბამისად, მიუსაფარ ცხოველთა უმეტესობა, საკვებისა და თავშესაფრის თვალსაზრისით, ადამიანზე არ არის დამოკიდებული და უკონტროლოდ გამრავლება შეუძლია (Abdulkarim et al., 2021). ამგვარად, იზრდება ჯანმრთელობისთვის სახიფათო ისეთ დაავადებათა და ბაქტერიათა რისკი, როგორებიცაა ცოფი, ლეიშმანიოზი, ექინოკოკი, ტოქსოპლაზმოზი და ა.შ. (Kumar, 2002; Kostić, 2016). გარდა ამისა, ისინი რესურსების ან/და ვეტერინარული დახმარების ნაკლებობის გამო, ჩვეულებრივ, გამოწვევებს აწყდებიან. მიუსაფარ ცხოველთა დიდი რაოდენობა უქმნის საფრთხეს მათსავე ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას, რომელიც აუცილებელია მათი „ხუთი თავისუფლების” (თავისუფლება შიმშილისა და წყურვილისგან; დისკომფორტისგან; ტკივილის, ტრავმის ან დაავადებებისგან; შიშისა და გასაჭირისგან; ნორმალური ქცევის გამოხატვის თავისუფლება) დასაცავად (Mellor, 2016).

ბოლო ათწლეულების განმავლობაში, მიუსაფარ ცხოველთა პოლიტიკის დანერგვისა და გაუმჯობესების მნიშვნელობას, მთელს მსოფლიოში, მთავრობები სულ უფრო მეტად აცნობიერებენ (Cardoso et al., 2017). თუმცა, მიუხედავად ამ ძალისხმევისა, მათი პოპულაციის მართვა პოლიტიკის შემქმნელთათვის კვლავ გამოწვევად რჩება (Ahmad et al., 2021; Seimenis & Tabbaa, 2014; Voslárová & Passantino, 2012) - მანუელა როულინგის, ევროპაში „ფორპაუსის მიუსაფარ ცხოველებზე მზრუნველობის პროგრამის” ხელმძღვანელის მიხედვით (Four Paws international, 2023), მსოფლიოში 600 მილიონზე მეტი უსახლკარო ცხოველია, ევროპაში კი - ასობით მილიონი (The CARO Project, 2022). აღსანიშნავია, რომ მიუსაფარ ცხოველთა კონტროლის შესახებ არ არსებობს ერთიანი ევროპული რეგულაცია, ამიტომაც ზემოხსენებული კონტროლდება ეროვნულ დონეზე, რაც ქვეყნებს შორის მიდგომების განსხვავებას იწვევს. ზოგიერთი ქვეყანა რეპროდუქციული კონტროლის ისეთ საშუალებებს იყენებს, როგორებიცაა ქირურგიული (კასტრაცია, სტერილიზაცია) და არაქირურგიული მეთოდები (მაგ.: ჰორმონული და იმუნოლოგიური მეთოდები). თუმცა,

იყენებენ ლეტალურ მეთოდებსაც: ევთანაზიას წამლებით, სროლით ან მოწამვლას (Meli, 2022). მეტიც, ხშირად თავშესაფრები განიცდიან რესურსების ან ადგილების ნაკლებობას, რაც ზღუდავს ცხოველებზე ადეკვატური ზრუნვის შესაძლებლობას და მეტად ამწვავებს მიუსაფართა პრობლემას. ყოველი ზემოაღნიშნული ხაზს უსვამს არსებული ზომების არაადეკვატურობას მიუსაფარ ცხოველთა რაოდენობისა და კეთილდღეობის ეფექტიანად მართვისათვის (Turner et al., 2012).

მიუსაფარ ცხოველთა პოლიტიკის პრობლემა მეტად **აქტუალურია** საქართველოშიც. 2023 წელს Mayhew Georgia-ს მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, მხოლოდ თბილისში 30150 მიუსაფარი ძაღლია (Mayhew Georgia, 2024); მთელი საქართველოს მასშტაბით, მსგავსი სტატისტიკა არ არსებობს და უსახლკარო ცხოველთა რიცხვი, შესაძლოა, ნახევარი მილიონიც კი იყოს (ფიფია & გაბუნია, 2020). სსიპ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო, რომელსაც ქ. თბილისის მიუსაფარ ცხოველთა კონტროლი ევალება, აღნიშნავს, რომ საქართველოში პოპულაციების მართვის პროცესი მხოლოდ რამდენიმე ორგანიზაციის მიერ (თბილისის, რუსთავის, შიდა ქართლის, კახეთის მიუსაფარ ცხოველთა მართვის სააგენტოები) მიმდინარეობს, თუმცა რეგიონებში სიტუაცია კონტროლს არ ექვემდებარება (ქრონიკა პლუსი, 2018). მიუხედავად სააგენტოების მიერ ცხოველთა მონიტორინგისა და დარღვევებზე რეაგირების ვალდებულებისა, როგორც რეგიონებში, ისე დედაქალაქშიც ხშირია ცხოველთა წამების, დაჭრისა და დასახიჩრების ფაქტები (ქრონიკა პლუსი, 2018). აგრეთვე, ქვეყანაში არ არსებობს ცხოველთა ევთანაზიის დეტალური ეროვნული პროტოკოლიც (გვასალია, 2020), რაც უსახლკარო ცხოველებს მეტად მოწყვლადს ხდის და მიუსაფარ ცხოველთა პოლიტიკის პრობლემურობას კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს. მეტიც, NDI-ის 2023 წლის კვლევის მიხედვით, გამოკითხულთა უმეტესობამ (68%) შემფოთება გამოთქვა თბილისსა და სხვა ქალაქებში მიუსაფარ ცხოველთა სიჭარბის შესახებ; 22%-მა კი აღნიშნული სამ ყველაზე დიდ ინფრასტრუქტურულ პრობლემას შორის პირველ პრობლემად დაასახელა (NDI, 2023). თუმცა, ზოგადად მიუსაფარ ცხოველთა საკითხზე კვლევები მწირია; აღნიშნული პოლიტიკის თვალსაზრისით კი კვლევები არ არსებობს. შესაბამისად, წინამდებარე კვლევა **აქტუალურია**, ვინაიდან იგი ერთ-ერთი პირველია საქართველოში, რომელიც შეისწავლის მიუსაფარ ცხოველთა პოლიტიკას ქვეყანაში და შეადარებს მას ევროკავშირის ქვეყნებში არსებულ პრაქტიკას. საქართველოსა და ევროკავშირის პრაქტიკის შედარება არამხოლოდ აკადემიური, ასევე პრაქტიკული თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანია, ვინაიდან საქართველო ევროპულ ინსტიტუტებთან უფრო მჭიდრო ინტეგრაციას ესწრაფვის, რაც 2014 წლის საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებითაც გამოიხატა - აღნიშნული ევროკავშირის

სტანდარტებსა და პრაქტიკებთან შესაბამისობას მოითხოვს (IDFI, 2014). ევროკავშირის ქვეყნებში კი მიუსაფარი ცხოველების პრობლემის შემსუბუქებისკენ მიმართული მიდგომები და სტანდარტებია შემუშავებული (Meli, 2022). ევროპული პოლიტიკისა და მიდგომების შესწავლა დაგვეხმარება არსებული პრობლემების იდენტიფიცირებაში და, სამომავლოდ, მიუსაფარ ცხოველთა პოლიტიკის საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან შესაბამისობაში მოყვანის თვალსაზრისით.

მოცემული კვლევის **თეორიულ ჩარჩოდ** გამოყენებულია ნილის (2005) კონვერგენციისა და დივერგენციის თეორია. ნილის მიხედვით, აღნიშნული თეორია, შეგვიძლია, გამოვიყენოთ ქვეყნების, რეგიონების ან ადგილობრივი პოლიტიკის შესადარებლად (Knill, 2005), თუმცა, ვინაიდან პოლიტიკა თავის თავში პოლიტიკის ინსტრუმენტებსაც მოიაზრებს, თეორია ინსტრუმენტებს შორის მსგავსება-განსხვავებების ახსნას თავისუფლად შეძლებს. ნილი პოლიტიკის კონვერგენციას აღწერს, როგორც ნებისმიერი მსგავსების ზრდას გარკვეული პოლიტიკის ერთ ან მეტ მახასიათებელს შორის, მოცემული პოლიტიკური იურისდიქციის ფარგლებში. აღნიშნული მახასიათებლებია: პოლიტიკის მიზნები, პოლიტიკის ინსტრუმენტები, პოლიტიკის პირობები, რომლებიც, თავის მხრივ, ერთმანეთზეც ახდენენ გავლენას (იქვე). კონვერგენციის ან დივერგენციის მიზეზები, მათი მიზეზ-შედეგობრივი მექანიზმების თვალსაზრისით, შეიძლება, ხუთი მთავარი ასპექტისა იყოს (Knill, 2005). პირველი, პოლიტიკისა და, შესაბამისად, ინსტრუმენტების მსგავსება შესაძლოა მოხდეს, როდესაც სხვადასხვა ქვეყანაში ან რეგიონში მსგავსი პრობლემების წინაშე დგანან და თითოეული მათ გადაჭრას მსგავსი გზებით დამოუკიდებლად წყვეტს (Collier & Messick, 1975). პოლიტიკის კონვერგენციის მეორე მიზეზი, შესაძლოა, უფრო ძლიერი ქვეყნების ან საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ უფრო სუსტებისთვის პოლიტიკის მიღების იძულება იყოს (Knill, 2005). მესამე მიზეზი აქცენტს, საერთაშორისო ან ზესახელმწიფოებრივი სამართლის მეშვეობით, ეროვნული პოლიტიკის ჰარმონიზაციაზე სვამს (იქვე). მეოთხე, პოლიტიკის კონვერგენცია, შესაძლოა, გამოწვეული იყოს კომუნიკაციით (იქვე). მეხუთე მიზეზი კი, შეიძლება, იყოს ის, რომ სახელმწიფოები, რომლებიც სოციალური და ეკონომიკური განვითარების შედარებად გზებს მიჰყვებიან, საერთო პოლიტიკისა და პოლიტიკის ინსტრუმენტებისაკენ ბუნებრივად გადაინაცვლებენ (Lowi, 1964). მოცემული თეორიული ჩარჩო რელევანტურია იმდენად, რამდენადაც მან საქართველოსა და ევროკავშირის ქვეყნების მიუსაფარი ცხოველების პოლიტიკის ინსტრუმენტების სრულყოფილად შედარების, მათ შორის მსგავსება-განსხვავებების დადგენისა და მათი მიზეზების გაგების საშუალება მომცა, რაც მომავალი კვლევებისთვის მნიშვნელოვან საფუძველს, ხოლო პოლიტიკის შემქმნელებისთვის ღირებულ ინფორმაციას იძლევა.

რაც შეეხება ზემოხსენებულ პოლიტიკის ინსტრუმენტებს, საქართველოსა და ევროკავშირის ქვეყნების მიერ განხორციელებული მიუსაფარ ცხოველთა პოლიტიკის გასაანალიზებლად, გამოყენებულია ანელიზა დოდსის მიერ გაზიარებული პოლიტიკის ინსტრუმენტების მიდგომა. იგი ერთგვარი *ანალიტიკური ჩარჩოა* და სხვადასხვა სახელმწიფოსა და სხვადასხვა სექტორში საჯარო პოლიტიკის შესწავლის საშუალებას იძლევა. დოდსის მიხედვით, ოთხი სახის (ფინანსური რესურსის, ძალაუფლების, ორგანიზაციის, ინფორმაციით უზრუნველყოფის) პოლიტიკის ინსტრუმენტები არსებობს (Dodds, 2014). ფინანსური რესურსის ინსტრუმენტები ფულად სახსრებთან დაკავშირებულ საშუალებებს მოიცავს (გადასახადები, გრანტები, სუბსიდიები, საშელავათო გადასახადები, სასესხო გარანტიები, ინვესტიციები და ა.შ.); ძალაუფლების ინსტრუმენტები რეგულაციებს, მოთხოვნების დანერგვას, ლიცენზირებას, ქცევის წახალისებას გულისხმობს; ორგანიზაციის ინსტრუმენტები ისეთ საშუალებებს მოიცავს, როგორებიცაა ინსტიტუტების, სტრუქტურების, სააგენტოების შექმნა, შეთანხმებების წარმოება, თანამშრომლობა, სერვისების მიწოდება; ხოლო ინფორმაციით უზრუნველყოფის ინსტრუმენტები როგორც რეკლამირებას, ისე ინფორმაციის გავრცელებას - საინფორმაციო შეხვედრებს, კონფერენციებს, სემინარებს, გამოფენებსა და პროპაგანდასა და მსგავს სხვა საშუალებებს გულისხმობს (იქვე). პოლიტიკის ინსტრუმენტების მიდგომის გამოყენებით, როგორც საქართველოში, ისე ევროკავშირის ქვეყნებში მიუსაფარ ცხოველთა პოლიტიკის პოლისტური ანალიზი განხორციელდა. პოლიტიკის ინსტრუმენტების დახმარებით, გამოვლინდა ის სფეროები, რომლებშიც, მიუსაფარ ცხოველთა პოლიტიკის თვალსაზრისით, საქართველო გამოწვევების წინაშეა, ხოლო ევროკავშირის ქვეყნები საუკეთესო პრაქტიკას ახორციელებენ; შესაბამისად, კონვერგენციისა და დივერგენციის თეორიის გამოყენების საფუძველიც შექმნა.

ლიტერატურის მიმოხილვა

მიუსაფარი ცხოველების მზარდმა რაოდენობამ ევროკავშირის ბევრ ქვეყანაში სერიოზული საზოგადოებრივი ჯანმრთელობის, სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და ცხოველთა კეთილდღეობის პრობლემები შექმნა (Voslárová & Passantino, 2012). უსახლკარო ცხოველების საკითხის მნიშვნელობის აღიარებით, ცხოველთა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (World Organization for Animal Health - ყოფილი OIE ანუ Office International des Epizooties, ეპიზოოტიის საერთაშორისო ოფისი) საკანონმდებლო ჩარჩოს ფარგლებში, ევროკომისია 2007 წლიდან ძაღლების

პოპულაციის პირველი გლობალური კეთილდღეობის სტანდარტების შემუშავებაში აქტიურად მონაწილეობდა (იქვე). 2012 წელს ევროპარლამენტმა მიიღო „ევროკავშირის სამართლებრივი ჩარჩო შინაური კომპანიონი და მიუსაფარი ცხოველების დაცვისათვის“ („EU Legal Framework for the Protection of Pets and Stray Animals“), თუმცა ევროკომისიამ ჩარჩო უარყო, რადგან ევროკავშირის ხელშეკრულებებში მკაფიო დებულებები კომპანიონ და მიუსაფარ ცხოველებთან დაკავშირებით არ არსებობს (ESDAW, n.d.). ევროკავშირის კანონმდებლობის ყველა ნაწილი, რომელიც ცხოველთა კეთილდღეობას შეეხება, ძირითადად, ფერმისა და ლაბორატორიულ ცხოველებზე კონცენტრირდება, მაგრამ მიუსაფარ ცხოველებზე აქცენტს არ აკეთებს (იქვე). საინტერესოა, რომ 1987 წლის „შინაური კომპანიონი ცხოველების დაცვის ევროპული კონვენცია“ („European Convention for the Protection of Pet Animals“) მიუსაფარ ცხოველთა რაოდენობის შემცირებას კანონიერად თვლის (Kruk, 2021). კონვენციის მე-12 მუხლი მონაწილე სახელმწიფოებს, უსახლკარო ცხოველების სამართავად, ადმინისტრაციული ზომების (ცხოველთა მიერ ტკივილისა და ტანჯვის განცდის გარეშე) გატარების უფლებას აძლევს (იქვე). ვინაიდან მიუსაფარ ცხოველთა პრობლემის მიმართ არ არსებობს საერთო ევროპული კანონმდებლობა, ამ საკითხის რეგულირების პასუხისმგებლობა ცალკეულ წევრ სახელმწიფოს ეკისრება. შესაბამისად, სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული მიდგომაა დანერგილი (Meli, 2022; Voslarová & Passantino, 2012).

სათანადო ეროვნული მარეგულირებელი ჩარჩო მიუსაფარ ცხოველთა ეფექტიანი კონტროლისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელია. WOAH-ის მიერ შექმნილი „ხმელეთის ცხოველთა ჯანმრთელობის კოდექსი“ ძაღლების პოპულაციის მართვის გაუმჯობესების სტანდარტებს უზრუნველყოფს (Meli, 2022). მათი რეგულაციები მიუსაფარი ძაღლების პოპულაციის წარმატებულ მართვას (მაგალითად, ძაღლების პასუხისმგებლობით ფლობას, მათ რეგისტრაციასა და იდენტიფიკაციას მონაცემთა ბაზაში, თავშესაფრების რეგისტრაციასა და ავტორიზაციას, დაავადებების წინააღმდეგ პრევენციულ ღონისძიებებს) უწყობს ხელს. აღნიშნული ორგანიზაცია კატების პოპულაციის მართვის გაუმჯობესების საკითხს არ ითვალისწინებს (იქვე). ცხოველთა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის რეგიონული პლატფორმის ეგიდით, ევროპის ქვეყნებისთვის პერიოდულად ქვეყნდება „სამწლიანი სამოქმედო გეგმა“, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად, ყურადღებას უსახლკარო ძაღლების პოპულაციის კონტროლზე ამახვილებს. სამოქმედო გეგმის მიზანია, ევროპის ქვეყნებს მიუსაფარ ცხოველთა მართვის საკითხში დაეხმაროს. გეგმა, საუკეთესო პრაქტიკის გაცვლისათვის, კანონმდებლობისა და ვეტერინარული სერვისების გაძლიერებას, ტრენინგებსა და ელექტრონული პლატფორმების განვითარებას გულისხმობს.

სამოქმედო გეგმების სტანდარტების გათვალისწინებამ ევროკავშირის ქვეყნებში, მიუსაფარ ცხოველთა თვალსაზრისით, რეგულაციები მნიშვნელოვნად დახვეწა (Meli, 2022; World Animal Net, 2015). ევროკავშირის ქვეყნებში, მიუსაფარი ცხოველების პოლიტიკის მრავალფეროვნების გათვალისწინებით, რეგულაციები ყურადღებას სხვადასხვა საკითხზე ამახვილებს. შესაბამისად, რეგულაციების უკეთ აღსაქმელად, ქვეყნების კატეგორიებად დაყოფა გადაწყვეტი. კატეგორიზაციისათვის რამდენიმე ფაქტორი განვიხილეთ: რეგულაციების მიერ როგორც ძაღლების, ისე კატების პოლიტიკის დაფარვა, სავალდებულო რეგისტრაციისა და მიკროჩიპირების, აგრეთვე, სტერილიზაცია-კასტრაციის რეგულაციების არსებობა და მათი სიმკაცრე, ცხოველთა მიტოვებასა და მათ მიმართ სისასტიკეზე სასჯელის არსებობა და სიმკაცრე, ევთანაზიის პოლიტიკა, მუნიციპალიტეტთა პასუხისმგებლობები. აღნიშნული მახასიათებლების მიხედვით, გამოვყავი სამი ჯგუფი:

- 1) *ევროკავშირის ქვეყნები მიუსაფარ ცხოველთა შესახებ მკაცრი რეგულაციებით;*
- 2) *ევროკავშირის ქვეყნები მიუსაფარ ცხოველთა შესახებ ზომიერად მკაცრი რეგულაციებით;*
- 3) *ევროკავშირის ქვეყნები მიუსაფარ ცხოველთა შესახებ ლიბერალური რეგულაციებით.*

მიუსაფარ ცხოველთა შესახებ მკაცრი რეგულაციების მქონე ქვეყნებში მოხვდნენ: ესტონეთი, ლუქსემბურგი, პორტუგალია, ესპანეთი, იტალია, საფრანგეთი, ბელგია, გერმანია, ნიდერლანდები, ფინეთი, ავსტრია, დანია. აღნიშნულ ქვეყნებში განსაკუთრებული ყურადღება ცხოველთა სავალდებულო რეგისტრაციას, მიკროჩიპირებასა და სტერილიზაცია-კასტრაციას ექცევა. ამ ქვეყნებმა სწორედ ამ პროცედურების დამსახურებით მოახერხეს მიუსაფარ ცხოველთა რაოდენობის მინიმუმამდე დაყვანა (Kruk, 2021; Natoli et al., 2019; Papavasili et al., 2022). შინაური კომპანიონი ცხოველები იღებენ ლეგალურ სტატუსსაც, რომელიც იცავს მათ თავისუფლებას და, პატრონის მიერ მათი მიტოვების შემთხვევაში, ყოფილი პატრონი ჯარიმდება ან პატიმრობა ემუქრება (Lashina, 2020). მუნიციპალიტეტები ვალდებულნი არიან, რომ უსახლკარო ცხოველები წაიყვანონ და დატოვონ თავშესაფარში მათ ბუნებრივ სიკვდილამდე, თუ არ სჭირთ უკურნებელი სენი, არ არიან საზოგადოებისთვის სახიფათონი ან ახალი პატრონი არ გამოუჩნდებათ (Șoldănescu, 2021, Tasker, 2007; Voslárová & Passantino, 2012). ამ უკანასკნელ შემთხვევაში, ევთანაზია ცხოველებს იტალიაში, ესტონეთში, ფინეთსა და დანიაში უტარდებათ (Kruk, 2021; Laatu, 2013; Natoli et al., 2019; Sandøe et al., 2019; Tasker, 2007). ევთანაზიას ვეტერინარი ატარებს; აკრძალულია ცხოველის დახრჩობა, ტოქსიკური ნივთიერებების შეყვანა და ელექტროშოკის გამოყენება, თუ ისინი მყისიერ უგონობას არ იწვევენ (Kruk, 2021). განსაკუთრებით აღსანიშნავია გერმანიის მაგალითი - კრისტიჩის (2012)

მიხედვით, გერმანიაში ცხოველთა დაცვის საკითხები რეგულაციებში ფართოდაა ასახული; ქვეყანას ცხოველთა კეთილდღეობის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მკაცრი კანონმდებლობა აქვს.

ზომიერად მკაცრი რეგულაციების მქონე ქვეყნებში მოხვდნენ: პოლონეთი, სლოვენია, შვედეთი, ლიეტუვა, ლატვია, სლოვაკეთი, ჩეხეთი, ბულგარეთი, საბერძნეთი, კვიპროსი, ირლანდია. აღნიშნულ ქვეყნებში, ისევე როგორც მკაცრი რეგულაციების მქონე ქვეყნებში, მიუსაფარ ცხოველებზე პასუხისმგებლობა მუნიციპალიტეტებს აქვთ (Dufala & Grešová; Munk, 2017; Tasker, 2007). ევთანაზიის ჩატარებაც მხოლოდ დაავადებულ, მიმედ დაშავებულ ან აგრესიულ ცხოველებზეა დაშვებული (Tasker, 2007; Voslárová & Passantino, 2012). საინტერესოა, რომ ზომიერად მკაცრი რეგულაციების ქვეყნებში, რეგისტრაცია და მიკროჩიპირება ძირითადად მხოლოდ ძაღლებისთვისაა სავალდებულო ან მხოლოდ რეკომენდებულია (Papavasili et al., 2022; Tasker, 2007). უნდა აღინიშნოს, რომ პოლონეში ეს პროცედურა არცერთი შინაური კომპანიონი ცხოველთვისაა სავალდებულო, რასაც კრუკი (2020) რეგულაციების სერიოზულ მინუსად ასახელებს. ზემოხსენებულ ქვეყნებში სტერილიზაცია-კასტრაციის პროცედურა, მეტწილად, ასევე მხოლოდ ძაღლებისთვისაა სავალდებულო, რაც კატებს რეგულაციათა მიღმა ტოვებს (More et al., 2022; Papavasili et al., 2022; Vasileva & McCulloch, 2023).

რაც შეეხება ლიბერალური რეგულაციების მქონე ქვეყნებს, მათ რიცხვში მალტა, უნგრეთი, რუმინეთი და ხორვატია მოხვდნენ. აღნიშნულ ქვეყნებში, ცხოველთა შესახებ კანონები მეტად მოძველებულია და მიუსაფრებზე აქცენტს ფაქტობრივად არც აკეთებს (More et al., 2022; Papavasili et al., 2022; Pencea & Brădăţan, 2015, Tasker, 2007). მეტიც, ცხოველთა სავალდებულო რეგისტრაციისა და სტერილიზაცია-კასტრაციის პროცედურების განხორციელების მექანიზმებიც სუსტია (Tasker, 2007). მიუხედავად იმისა, რომ ჩამოთვლილ ქვეყნებში შინაური კომპანიონი ცხოველის მიტოვება უკანონოა, ამ კანონის აღსრულებაც იშვიათად ხორციელდება (იქვე).

მიუსაფარი ცხოველების საკითხისადმი მარეგულირებელი მიდგომები ევროკავშირის ქვეყნებში ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება, რაც მათი სამართლებრივი ჩარჩოების მრავალფეროვნებასა და მიუსაფარი ცხოველების პრობლემისადმი დამოკიდებულების სხვადასხვაობას იწვევს. მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს მიუსაფარი ცხოველების პოპულაციის კონტროლის საერთო კანონმდებლობა, ქვეყნების ჯგუფებად დაყოფის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ისინი, მეტწილად, მკაცრი ან ზომიერად მკაცრი რეგულაციებით ატარებენ მიუსაფარ ცხოველთა პოლიტიკას. შესაბამისად, შეგვიძლია, გამოვყოთ ევროკავშირის ქვეყნების ძირითადი მარეგულირებელი მიდგომები. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ რეგულაციები, უმეტესად,

კონკრეტული ცხოველების (ძირითადად, ძაღლების) პოპულაციების მართვას ითვალისწინებს. ქვეყნების უმრავლესობა, ამ თვალსაზრისით, კომპანიონი ცხოველების პატრონებს ავალდებულებს ცხოველთა რეგისტრაციასა და მიკროჩიპირებას, რაც მფლობელის იდენტიფიკაციას უწყობს ხელს და მიუსაფარი ცხოველების რაოდენობის შემცირების მნიშვნელოვანი მექანიზმია. მიუსაფარი ცხოველების რაოდენობის შემცირებისათვის ბევრი ქვეყნის კანონმდებლობა როგორც პატრონიანი, ისე უპატრონო ცხოველების კასტრაცია-სტერილიზაციასაც მოითხოვს. უნდა აღინიშნოს კანონმდებლობებში ინტეგრირებული ცხოველთა დაცვის კანონებიც - ცხოველთა მიმართ სისასტიკის, მათი მიტოვების, წამების ან მოკვლის შესაბამისი ჯარიმები და შესაძლო პატიმრობის ვადები; აგრეთვე, ქუჩიდან მიუსაფრების აყვანის, მათი თავშესაფრებში მოთავსების, გაჩუქებისა და ევთანაზიის განსაზღვრული წესები - აღნიშნული რეგულაციები მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც აფერხებს არა მხოლოდ მიუსაფარ ცხოველთა რაოდენობის გაზრდას, არამედ მათ უფლებებსაც იცავს (რაც ხშირად უგულებელყოფილია). კანონმდებლობები ზემოხსენებული რეგულაციების აღსრულებას, ძირითადად, მუნიციპალიტეტების დონეზე მოითხოვენ, რათა მათი რესურსები სწორად განაწილდეს, მიდგომები ადგილობრივ საჭიროებებს მოერგოს და მიუსაფარ ცხოველთა კონტროლი მაქსიმალურად ეფექტურად განხორციელდეს.

თუმცა, მხოლოდ კანონმდებლობების განხილვა საკმარისი არ არის, ვინაიდან მიუსაფარ ცხოველთა პოლიტიკა ეფექტიანობისათვის პოლიტიკის სხვადასხვა ინსტრუმენტს (ფინანსური, ძალაუფლების, ორგანიზაციის, ინფორმაციით უზრუნველყოფის) ეყრდნობა და, შესაბამისად, აღნიშნული პოლიტიკის სრულყოფილად გასაანალიზებლად, ხსენებული ინსტრუმენტების გამოყენების განხილვაც აუცილებელია. გარდა ამისა, ევროკავშირის ქვეყნების მიერ მიუსაფარი ცხოველების პოლიტიკის განსახორციელებლად გამოყენებული ინსტრუმენტების გაანალიზება დაგვეხმარება საუკეთესო პრაქტიკის/პრაქტიკების გამოვლენაში, რაც საქართველოში პოლიტიკის შემქმნელებს მათი გაზიარებისა და ადაპტირების საშუალებას მისცემს.

ფინანსური რესურსის ინსტრუმენტების ანალიზი მიუსაფარ ცხოველთა პოლიტიკაზე რესურსების განაწილების შესწავლის საშუალებას იძლევა. პაპავასილისა და მისი კოლეგების (2022) მიხედვით, საბერძნეთში, კვიპროსში, მალტაში, პორტუგალიაში, ლიეტუვაში (არასრულად), სლოვენიაში, ბულგარეთში, ჩეხეთის რესპუბლიკასა და ნიდერლანდებში მიუსაფარი ძაღლების თავშესაფრებს ფინანსურად მხარს მუნიციპალური ხელისუფლება უჭერს (იქვე). პენცა და ბრადატანი (2015) ამ ქვეყნების ჩამონათვალს რუმინეთსაც ამატებენ. მათი მიხედვით, ადგილობრივ საბჭოებს მიუსაფარი ძაღლების თავშესაფრების გასახსნელად და მოსავლელად ფინანსების

გამოყოფა ევალუბათ (Papavasili et al., 2022). აღსანიშნავია TNR („დაიჭირე, გაასტერილე, გაუშვი“) პროგრამების დაფინანსებაც. მაგალითად, პორტუგალიაში, სტერილიზაციის კამპანიებს ადგილობრივი ხელისუფლება უნდა აფინანსებდეს, რისთვისაც მუნიციპალიტეტებს სპეციალური ეროვნული სამთავრობო ფონდებიც კი აქვთ, თუმცა, დაფინანსება საკმარისი არ არის (Natoli et al., 2019). ამ პროგრამებს მუნიციპალიტეტი სრულად ვერც ლიეტუვაში აფინანსებს (Taruskaite-Vanebo, 2014). ზოგიერთ ქვეყანაში მუნიციპალიტეტები სტერილიზაციის პროგრამებს სრულად აფინანსებენ. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ სლოვენიაში ეროვნული სტერილიზაციის პროგრამა არ მოქმედებს, მუნიციპალიტეტების უმეტესობა სტერილიზაციის სუბსიდირებულ პროგრამებს წელიწადში ორჯერ ახორციელებს (Pencea & Brădăţan, 2015). სტერილიზაციის სუბსიდირებას მუნიციპალიტეტები ბულგარეთსა და პოლონეთშიც ახორციელებენ (Tasker, 2007). ავსტრიას განსხვავებული ფინანსური პოლიტიკა აქვს - ქვეყნის დედაქალაქი, ვენა, თითოეულ განხორციელებულ TNR პროცედურაზე 100 ევროს გამოყოფს (Natoli et al., 2019). ავსტრიის სხვა ფედერალური მხარეები ვაუჩერებს სთავაზობენ იმ მოქალაქეებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც TNR პრაქტიკას ახორციელებენ (იქვე). ფინანსური რესურსების თვალსაზრისით, აღსანიშნავია ცხოველთა ფლობის გადასახადებიც, რომლებიც ავსტრიაში, გერმანიაში, საფრანგეთში, შვედეთსა და ბულგარეთში მოქმედებს (Baka et al., 2020; Lashina, 2020; Papavasili et al., 2022; Vasileva & McCulloch, 2023). აღნიშნული გადასახადი, შინაური კომპანიონი ცხოველის აყვანამდე, პოტენციური მფლობელის მხრიდან მისთვის ერთგულების მაჩვენებლად ითვლება (იქვე).

ძალაუფლების ინსტრუმენტების განხილვა და ანალიზი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც სწორედ ისინი განსაზღვრავენ პოლიტიკის განხორციელებას. ევროპის ბევრმა ქვეყანამ, მაგალითად, გერმანიამ, ავსტრიამ, საფრანგეთმა, იტალიამ, ლუქსემბურგმა, შვედეთმა ცხოველის სამართლებრივი სტატუსისა და მისი მფლობელის პასუხისმგებლობის შესახებ მიიღეს კანონი, რომელიც უკანონო ქმედებისთვის (გარდა ცხოველის წამებისა, მასში მოიაზრება მისი მიტოვებაც) ჯარიმას ან თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს (Lashina, 2020). ლუქსემბურგში ამგვარმა ჯარიმამ შეიძლება 227000 დოლარს მიაღწიოს, ავსტრიაში - 15000 დოლარს, იტალიაში აღნიშნული 10000 ევროს ჯარიმას, პირობით სასჯელს ან ერთი წლით, შვედეთში კი ორი წლით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს (იქვე). სტოიანოვიჩის (2011) მიხედვით, გერმანიაში ცხოველების მიტოვება 25000 ევროს ჯარიმას ითვალისწინებს. სლოვენიაში აღნიშნული ჯარიმა ფიზიკური პირისათვის 400-დან 800 ევრომდეა, ხორვატიაში - 5000-დან 15000 ხორვატიულ კუნამდე (იქვე), ნიდერლანდებში 17000 ევრომდე (Sternheim, 2012). როგორც გერმანიაში, ისე სლოვენიაში და

ხორვატიაში, მიტოვებული ცხოველების ჭარბ პოპულაციას გამოირიცხავს სპეციალური საკანონმდებლო დებულება - ცხოველი ჩამოერთმევა ისეთ მფლობელს, რომელიც ცხოველის კეთილდღეობას ვერ უზრუნველყოფს (იქვე). საინტერესოა, რომ შვედეთში, მსგავს შემთხვევაში, პატრონს ცხოველი არამხოლოდ ჩამოერთმევა, არამედ, სხვა ცხოველის ყოლაც აკრძალება (Soldănescu, 2021). ამ აკრძალვის უგულებელყოფის შემთხვევაში კი, ჯარიმა დაეკისრება ან ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა მიესჯება (იქვე). მიუსაფარი ცხოველების რაოდენობის გაზრდის თავიდან ასაცილებლად, ევროკავშირის ქვეყნებში, კომპანიონ ცხოველთა პატრონებსა და სელექციონერებს/ბრიდერებს ლიცენზიების ქონასაც ავალდებულებენ (Papavasili et al., 2022). მეტიც, ძაღლებისა და კატების ბრიდერებს სჭირდებათ აკრედიტაცია, თუ ისინი ცხოველების გამრავლებას წელიწადში ორჯერ გეგმავენ (Eurogroup for Animals, 2023).

კვიპროსში, 2002 წლის „ძაღლების შესახებ კანონის“ საფუძველზე, ძაღლის ფლობა არ შეუძლია პირს, თუ იგი კომპეტენტური ორგანოს მიერ უფლებამოსილი არ არის (Papavasili et al., 2022). ფლობის ლიცენზია გაცემის დღიდან ერთი წლის განმავლობაში მოქმედებს და ძაღლის პატრონი ვალდებულია, იგი განაახლოს ყოველწლიურად, ცხოველის ჯანმრთელობის ცნობის ან ბუკლეტის (გაცემული უფლებამოსილი ვეტერინარის მიერ) წარდგენის შემდეგ, ლიცენზიის ვადის გასვლამდე თხუთმეტი დღით ადრე და დადგენილი საფასური გადაიხადოს (იქვე). შინაურ კომპანიონ ცხოველთა ფლობის ლიცენზიების ყოველწლიური განახლება ბელგიაშიც, დანიაშიც, ფინეთსა და გერმანიაშიც სავალდებულოა (Tasker, 2007). ძაღლების ფლობის ლიცენზიების მხრივ, საინტერესოა ირლანდიის პრაქტიკაც. 1986 წლის „ძაღლების კონტროლის აქტი“ მოითხოვს, მფლობელებმა ლიცენზია 4 თვეზე უფროსი ასაკის ყველა ძაღლისათვის შეიძინონ (წლიური ლიცენზია 20 ევრო, ხოლო უვადო - 40 ევრო ღირს) (More et al., 2022). ძაღლების პატრონობაზე ამგვარი მკაფიო რეგულაციების დაწესება ცხოველების პასუხისმგებლობით ფლობის კონტროლსა და ამ პრაქტიკის განმტკიცებას, ცხოველების მიტოვებისა და, შესაბამისად, მიუსაფართა რაოდენობის გაზრდას აფერხებს. ამავე თვალსაზრისით, ძაღლებისა და კატების რეგისტრირება და ჩიპირება ევროკავშირის უმეტეს ქვეყნებშია სავალდებულო (Legge, 2022). ევროკავშირის ქვეყნებში ქცევის გავრცელებული პრაქტიკაა წახალისების ინსტრუმენტის გამოყენებაც. აღნიშნული, ძირითადად, კასტრაცია-სტერილიზაციის წახალისებას ემსახურება. მაგალითად, ბულგარეთში, გასტერილებული ძაღლების მფლობელები თავისუფლდებიან „ძაღლის გამრავლების გადასახადისგან“ (გადასახადს იხდიან ის მფლობელები, რომლებიც ძაღლებს ამრავლებენ) (Baka et

al., 2020; Papavasili et al., 2022; Vasileva & McCulloch, 2023). აგრეთვე, მიკროჩიპირებული ძაღლების პატრონები ძაღლების ფლობის პირველი წლის გადასახადისგან თავისუფლდებიან (იქვე).

მიუსაფარი ცხოველების პოლიტიკაში გამოყენებული **ორგანიზაციის ინსტრუმენტების** შესწავლა ამ პოლიტიკაში ჩართული ინსტიტუტების, სააგენტოების, მათ შორის არსებული თანამშრომლობისა და შეთანხმებების, აგრეთვე, სერვისების მიწოდების ანალიზის შესაძლებლობას ქმნის. ამ მხრივ, პირველ რიგში, აღსანიშნავია უსახლკარო ცხოველების პოლიტიკის განხორციელების ადმინისტრაციული დონე. ევროკავშირის ქვეყნებში მიუსაფარი ცხოველების მართვა მუნიციპალიტეტებზეა დელეგირებული (Tasker, 2007). საინტერესოა პორტუგალიის გამოცდილება - ნატოლისა და მისი კოლეგების (2019) მიხედვით, ვინაიდან საკუთარ ტერიტორიაზე არსებულ მიუსაფარ ცხოველებზე სწორედ მუნიციპალიტეტები არიან პასუხისმგებელნი, აღნიშნული პროცედურების ხარჯები მუნიციპალიტეტებმა უნდა გაიღონ. მიუხედავად ამისა, კასტრაცია-სტერილიზაციის ხარჯებს, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე, ძირითადად, მსხვილი არასამთავრობო ორგანიზაციები აფინანსებენ (იქვე). მუნიციპალიტეტებსა და ცხოველთა დაცვის ორგანიზაციებს შორის ცხოველთა მკურნალობაზე, სტერილიზაციაზე, სავალდებულო დაჩიპვაზე თანამშრომლობა ევროკავშირის ბევრ სხვა ქვეყანაშიც (მაგალითად: ბულგარეთი, ხორვატია, მალტა, იტალია, გერმანია, ბელგია, ნიდერლანდები, დანია, შვედეთი, ფინეთი) არის გავრცელებული (Tasker, 2007). ტასკერი (2007) აღნიშნავს, რომ ბელგიაში, დანიაში, ფინეთში, შვედეთსა და ნიდერლანდებში მუნიციპალიტეტებსა და ცხოველთა დაცვის ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობა ძალიან წარმატებულია.

რაც შეეხება სერვისების მიწოდებას, მიუსაფარი ცხოველების (მეტწილად, ძაღლების) მართვის პროგრამების სერვისებს ევროკავშირის ყველა ქვეყანაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება. მათი ზოგადი ფორმულა მოიცავს მიუსაფარი ცხოველების შეგროვებას, თავშესაფრებში ან პარტნიორ ვეტერინარებთან ტრანსპორტირებას, ვეტერინარულ შემოწმებას, კასტრაციას/სტერილიზაციას, ვაქცინაციას, თავშესაფრებში განთავსებასა და მათი გაჩუქების მცდელობას (Papavasili et al., 2022). პაპავასილისა და მისი კოლეგების (2022) მიხედვით, ევროკავშირში სწორედ ამ პროგრამებმა გამოიწვია მიუსაფარი ცხოველების რაოდენობის კონტროლი. ამ პროგრამების განსახორციელებლად, მუნიციპალური ხელისუფლებები ვეტერინარულ კლინიკებთანაც დებენ შეთანხმებებს, ასევე, ქმნიან მობილურ კლინიკებსაც (იქვე).

ევროკავშირის ქვეყნებში, მიუსაფარი ცხოველების პოლიტიკის განუყოფელი ნაწილია **ინფორმაციით უზრუნველყოფის ინსტრუმენტი**, რომლის მეშვეობითაც უსახლკარო ცხოველების

პრობლემის სიმწვავისა და შინაური კომპანიონი ცხოველების პასუხისმგებლობით ფლობის შესახებ საზოგადოების ცნობიერება იზრდება. „პასუხისმგებლობით ფლობის“ კამპანიები ევროკავშირის თითქმის ყველა ქვეყანაში, ძირითადად, სატელევიზიო გადაცემების, რეკლამების, ბროშურების, ბეჭდური მასალის, სოციალური ქსელების პოსტების, კომპეტენტური ორგანოების ან/და სამინისტროების ვებგვერდებზე განთავსებული განცხადებების, სასკოლო პროგრამებისა და კურსების მეშვეობით ტარდება (Papavasili et al., 2022). გარდა ამისა, ევროკავშირის ქვეყნების დიდი ნაწილის კომპეტენტური ორგანოები მოქალაქეებს ცხოველის ყიდვის ნაცვლად, მიუსაფრის აყვანისკენ მოუწოდებენ („Adopt, Don't Shop“ Campaign ანუ „აიყვანე, ნუ იყიდი“ კამპანია) (იქვე). პენცეასა და ბრადატანის (2015) მიხედვით, შვედეთში ცნობიერების ამაღლების კამპანიებს დიდი წვლილი მიუძღვით იმაში, რომ ამ ქვეყანაში მიუსაფარი ძაღლები ფაქტობრივად არ არიან. შვედეთის გარდა, ბელგიამ, დანია, ფინეთმა, გერმანიამ, ნიდერლანდებმა და საბერძნეთმაც ჩამოაყალიბეს მფლობელთა საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც რეგიონულ დონეზე მოქმედებს (OIE; 2015; Papavasili et al., 2022; Tasker, 2007). ევროკავშირის ბევრი ქვეყანა მიუსაფარ ცხოველთა შესახებ, როგორც სკოლის, ისე ბაღის მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლებასაც ცდილობს. ბაღებში საინფორმაციო კამპანიები გასართობი თამაშებისა და გამოცანების მეშვეობით ტარდება (Sinchilo, 2020).

საქართველოში, ისეთი კვლევები, რომლებიც მიუსაფარ ცხოველებს შეეხება და ზემოთ მოყვანილი კვლევების მსგავსია, ფაქტობრივად, არ არსებობს. ქართულ აკადემიურ სივრცეში ცხოველებთან დაკავშირებით არსებული კვლევები, ძირითადად, მათ მიმართ სისასტიკესა და უფლებების დაცვას შეეხება. ისინი არ ითვალისწინებენ მიუსაფარი ცხოველების პოლიტიკას და, მით უფრო, ამ პოლიტიკის ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიდგომებთან შედარებას. ჩემი კვლევის მნიშვნელობას IDFI-ის 2018 წლის კვლევის დასკვნაც ასაბუთებს. IDFI (2018) ასკვნის, რომ საქართველოში, ცხოველთა მიმართ სისასტიკის შესამცირებლად, ყოვლისმომცველი კანონმდებლობა და შესაბამისი ქმედუნარიანი ინსტიტუტის არსებობაა საჭირო. აგრეთვე, ქვეყანას სჭირდება ძლიერი პოლიტიკური ნება იმისათვის, რომ ევროკავშირის რეგულაციებთან შესაბამისობაში მყოფი ცხოველთა დაცვის სტანდარტები დანერგოს. კვლევა (2018), ასევე, ხაზს უსვამს ცხოველთა კეთილდღეობის ხელშეწყობისთვის საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდის მნიშვნელობასაც. IDFI-ის კვლევის შედეგად ხაზგასმული საჭიროებებისა და იმ რეალობის გათვალისწინებით, რომ ზემოხსენებული საკითხები კიდევ უფრო მწვავედ დგას უსახლკარო ცხოველებისათვის, საქართველოში მიუსაფარი ცხოველების პოლიტიკის შესახებ ყოვლისმომცველი

ცოდნის შეგროვება გადამწყვეტია. ამავე თვალსაზრისით, მეტად მნიშვნელოვანია ამ პოლიტიკის ევროკავშირის ქვეყნებთან შედარებაც. მიდგომების მსგავსება-განსხვავების დანახვა და გაანალიზება ხელს შეუწყობს არამხოლოდ არსებული პრობლემების იდენტიფიცირებას, არამედ, პრაქტიკული თვალსაზრისით, მიუსაფარი ცხოველების პოლიტიკის საუკეთესო ევროპულ პრაქტიკასთან შესაბამისობაში მოყვანას.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის მეთოდოლოგია კვლევის მიზნის შესაბამისად დაიგემა. **კვლევის მიზანს** წარმოადგენს მიუსაფარ ცხოველთა პოლიტიკის შესწავლა საქართველოში და მისი ევროკავშირის ქვეყნების პრაქტიკასთან შედარება. კვლევის მიზნიდან გამომდინარე, **კვლევის ამოცანებია:** მიუსაფარ ცხოველთა პოლიტიკის თეორიული საფუძვლების შესწავლა; საქართველოში ცხოველების მოვლა-პატრონობისა და მათი პოპულაციების მართვის შესაბამისი მარეგულირებელი ჩარჩოს შესწავლა; ევროკავშირის ქვეყნებში მიუსაფარ ცხოველთა პოლიტიკის შესწავლა მათი მარეგულირებელი ჩარჩოებისა და განხორციელებული პრაქტიკების ანალიზის საფუძველზე; საქართველოსა და ევროკავშირში მიუსაფარ ცხოველთა პოლიტიკის განსახორციელებლად გამოყენებული პოლიტიკის ინსტრუმენტების დადგენა, მათ შორის მსგავსება-განსხვავებებისა და მათი მიზეზების შესახებ ძირითადი მიგნებების ფორმირება.

კვლევის მიზნისა და ამოცანების მიხედვით, ჩამოყალიბდა **კვლევის კითხვები:** 1. რა ინსტრუმენტებით ხორციელდება მიუსაფარ ცხოველთა პოლიტიკა საქართველოში? 2. რით ჰგავს/განსხვავდება ერთმანეთისგან საქართველოსა და ევროკავშირის ქვეყნების მიუსაფარ ცხოველთა პოლიტიკის ინსტრუმენტები? 3. რა მიზეზებითაა გამოწვეული საქართველოსა და ევროკავშირის ქვეყნების მიერ გამოყენებული მიუსაფარ ცხოველთა პოლიტიკის ინსტრუმენტების მსგავსება-განსხვავება? მათ საპასუხოდ კი სამი **დაშვება** ჩამოყალიბდა: 1. საქართველოში მიუსაფარ ცხოველთა პოლიტიკა რეგულირებით, სუბსიდირებით, პროგრამებითა და რეკლამირების ინსტრუმენტებით ხორციელდება. 2. საქართველოსა და ევროკავშირის ქვეყნების მიუსაფარ ცხოველთა პოლიტიკის ინსტრუმენტები ერთმანეთს ჰგავს იმით, რომ როგორც ევროკავშირში, ისე საქართველოში, გამოიყენება რეგულირების, სუბსიდირების, პროგრამებისა და რეკლამირების ინსტრუმენტები; ხოლო განსხვავდება იმით, რომ საქართველო (ევროკავშირისგან განსხვავებით), ცხოველთა დაცვის ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის

ინსტრუმენტს არ იყენებს. 3. საქართველოსა და ევროკავშირის ქვეყნების მიერ გამოყენებული მიუსაფარ ცხოველთა პოლიტიკის ინსტრუმენტების მსგავსება გამოწვეულია საქართველოს მცდელობით, ევროკავშირის ქვეყნების მიუსაფარ ცხოველთა პოლიტიკასთან ჰარმონიზაცია მოახდინოს; განსხვავება კი საქართველოში, გადაწყვეტილებების მიმღებთა მხრიდან, ცხოველთა დაცვის ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციათა მიმართ დაბალი მიმღებლობითაა გამოწვეული.

კვლევის ფარგლებში გამოყენებულია **თვისებრივი კვლევის მეთოდი**, კერძოდ **დოკუმენტების ანალიზი და სიღრმისეული ინტერვიუ**. კვლევის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, ნაშრომში არაალბათური მიზნობრივი **შერჩევაა** გამოყენებული. შესწავლილ იქნა ცხოველების მოვლა-პატრონობისა და მათი პოპულაციების მართვის შესაბამისი ქართული მარეგულირებელი ჩარჩო, ცხოველების მიმართ სასტიკად მოპყრობის მუხლები სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსებიდან; ასევე, თბილისის მერიის სსიპ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს, რუსთავის ა(ა)იპ ცხოველთა მონიტორინგის ცენტრის, შიდა ქართლისა და კახეთის მიუსაფარ ცხოველთა მართვის ინტერმუნციპალური სააგენტოების წესდებები - ჯამში 18 დოკუმენტი. არსებული კვლევების (ჯამში 38 კვლევა) საფუძველზე, აგრეთვე, გაანალიზდა ევროკავშირის ქვეყნებში არსებული მიუსაფარ ცხოველთა პოლიტიკის ინსტრუმენტები, კანონები, რეგულაციები ცხოველების მოვლა-პატრონობისა და მათი პოპულაციების მართვის შესახებ.

დოკუმენტების ანალიზი ჩატარდა შემდეგი საფეხურების დაცვით. კერძოდ: 1) ანალიზის ერთეულის განსაზღვრით; 2) კატეგორიებისა და კოდირების სქემის შემუშავებით; 3) კოდირებული მონაცემების სათითაოდ გაანალიზებით; 4) უფრო დიდი ჯგუფის - კატეგორიების - სათითაოდ გაანალიზებით; 5) კატეგორიათა შედარებით, შესაბამისი დასკვნების გამოტანითა და საბოლოო ინტერპრეტაციით. **საველე სამუშაოები** კი 2024 წლის აპრილი - მაისის განმავლობაში მიმდინარეობდა. ინტერვიუები ჩატარდა 8 რესპონდენტთან, კერძოდ, თბილისის მერიის სსიპ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს, რუსთავის ა(ა)იპ ცხოველთა მონიტორინგის ცენტრის, შიდა ქართლის მიუსაფარ ცხოველთა მართვის სააგენტოსა და კახეთის მიუსაფარ ცხოველთა მართვის ინტერმუნციპალური სააგენტოს წარმომადგენლებთან (გადაწყვეტილების მიმღები პირები) და სფეროს ექსპერტებთან (მიუსაფარ ცხოველთა დაცვის ორგანიზაციათა წარმომადგენლები). შესაბამისად, რესპონდენტებად შეირჩა გადაწყვეტილების მიმღები 4 პირი და სფეროს 4 ექსპერტი - ცხოველთა დაცვის ორგანიზაციათა წარმომადგენლები. სიღრმისეული ინტერვიუებისათვის

მომზადდა 2 ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუს გზამკვლევი, როგორც მიუსაფარ ცხოველთა მართვის ცენტრების წარმომადგენელთათვის, ისე სფეროს ექსპერტებისათვის. ინტერვიუები პირისპირ რეჟიმში ჩატარდა და თითოეული ინტერვიუს ხანგრძლივობა 30-35 წუთს შეადგენდა. **ინტერვიუების ანალიზის** თვალსაზრისით, მათი ჩატარების შემდგომ, ტრანსკრიპტები მომზადდა; შემდეგ კი მონაცემთა კოდირება-კატეგორიზაცია განხორციელდა (წულაძე, 2020).

კვლევის პროცესში დაცული იყო **ეთიკის** ნორმები. კვლევაში ყველა რესპონდენტი ნებაყოფლობით იყო ჩართული. რესპონდენტთა კონფიდენციალურობა, მათ მიერ ინფორმაციის გულახდილად გაზიარების მიზნით, დაცული იყო. ინტერვიუებამდე რესპონდენტები გაეცნენ კვლევის შინაარსს, მიზნებსა და მათი შერჩევის დასაბუთებას. აგრეთვე, მათთან ინტერვიუების ჩაწერაც წინასწარ იყო შეთანხმებული. ინტერვიუს მსვლელობისას, რესპონდენტებს შეჩერება ან/და ინტერვიუს გაგრძელებაზე უარის თქმა ნებისმიერ მომენტში შეეძლოთ.

კვლევის **ვალიდურობის უზრუნველსაყოფად**, როგორც დამუშავებული ინფორმაცია, ისე საბოლოო ანგარიში კვლევის სუბიექტთა მიერ შემოწმდა. აგრეთვე, კვლევის შედეგები კვლევის ხელმძღვანელმა შეაფასა. **სანდოობის** თვალსაზრისით, ინფორმაცია შეგროვდა როგორც დოკუმენტების ანალიზის, ისე სიღრმისეული ინტერვიუების საშუალებით. ამავდროულად, კვლევის სანდოობას უზრუნველყოფდა რესპონდენტთა შერჩევის ლოგიკაც. რაც შეეხება კვლევის **შეზღუდვას**, კვლევის გეოგრაფიული არეალი მოიცავს მხოლოდ თბილისს, რუსთავს, შიდა ქართლის 4 (გორი, ქარელი, ხაშური, კასპი) და კახეთის 8 მუნიციპალიტეტს (გურჯაანი, თელავი, საგარეჯო, ლაგოდეხი, სიღნაღი, დედოფლისწყარო, ყვარელი, ახმეტა), ვინაიდან საქართველოში მიუსაფარ ცხოველთა მხოლოდ 4 მუნიციპალური სააგენტოა; საქართველოს სხვა ქალაქებს მსგავსი სააგენტოები არ გააჩნიათ.

კვლევის შედეგები და დისკუსია

მიუსაფარ ცხოველთა პოპულაციის მართვა საქართველოში მუნიციპალიტეტების კომპეტენციაა, თუმცა ქვეყანაში მხოლოდ ოთხი მონიტორინგისა და მართვის ცენტრია, რომელთაგან ერთი საჯარო სამართლის იურიდიული პირია, სამი კი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი: სსიპ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო (თბილისში), ა(ა)იპ ცხოველთა მონიტორინგის ცენტრი (რუსთავში), ა(ა)იპ მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის შიდა ქართლის ინტერმუნიციპალური სააგენტო (გორში), ა(ა)იპ მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის კახეთის ინტერმუნიციპალური სააგენტო (გურჯაანში). თბილისის

ცხოველთა მონიტორინგის სააგენტომ ფუნქციონირება 2015 წელს დაიწყო (ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო, 2015). მის გახსნამდე, მიუსაფარი ცხოველების პოპულაციის მართვა მეტად პრობლემატური საკითხი იყო: მათ რაოდენობას არ ითვლიდნენ, მუნიციპალიტეტებს შორის თანამშრომლობა და კოორდინაცია არ არსებობდა (პირისპირი ინტერვიუ, 10.05.24). მეტიც, მიუსაფარი ცხოველებისთვის სტერილიზაცია-კასტრაციის პროცედურების ჩატარების ნაცვლად, მათ მასობრივად ხოცავდნენ, რაც რეალურად პოპულაციას კი არ ამცირებდა, პირიქით, ზრდიდა კიდევ (პირისპირი ინტერვიუ, 25.04.24). 2021 წელს რუსთავში ა(ა)იპ ცხოველთა მონიტორინგის ცენტრმა, გორში ა(ა)იპ მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის შიდა ქართლის ინტერმუნიციპალურმა სააგენტომ და გურჯაანში ა(ა)იპ მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის კახეთის ინტერმუნიციპალურმა სააგენტომ დაიწყო ფუნქციონირება (პირისპირი ინტერვიუ, 10.05.24). რუსთავის ცხოველთა მონიტორინგის ცენტრი მხოლოდ რუსთავს ემსახურება (ქალაქ რუსთავის ა(ა)იპ ცხოველთა მონიტორინგის ცენტრი, 2021); შიდა ქართლის სააგენტო ინტერმუნიციპალურია და ემსახურება 4 მუნიციპალიტეტს: გორს, კასპს, ხაშურს, ქარელს (ა(ა)იპ მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის შიდა ქართლის ინტერმუნიციპალური სააგენტო, 2021); ასევე ინტერმუნიციპალურია კახეთის სააგენტოც და 8 მუნიციპალიტეტს ემსახურება: გურჯაანს, საგარეჯოს, თელავს, სიღნაღს, ყვარელს, დედოფლისწყაროს, ახმეტას, ლაგოდეხს (ა(ა)იპ მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის კახეთის ინტერმუნიციპალური სააგენტო, 2021). თბილისის, რუსთავის, შიდა ქართლისა და კახეთის სააგენტოები როგორც ერთმანეთთან, ისე საერთაშორისო ორგანიზაციებთანაც თანამშრომლობენ. მათი თანამშრომლობა, ძირითადად, ინფორმაციისა და გამოცდილების გაზიარებაში გამოიხატება (პირისპირი ინტერვიუ, 25.04.24; 16.05.24). მიუსაფარი ცხოველების პოპულაციის კონტროლის, გარემოზე ზემოქმედებისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრობლემების ეფექტიანად სამართავად, ცხოველთა მონიტორინგის ცენტრები ადგილობრივ ადმინისტრაციებზე ორგანიზაციებთან, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, შსს-ის საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან და შსს-ის სსიპ 112-თან თანამშრომლობენ (პირისპირი ინტერვიუ, 16.05.24; 23.05.24; 24.05.24; 25.05.24).

საქართველოს მასშტაბით, მიუსაფარ ცხოველთა მართვის ოთხი სააგენტოს გარდა, სხვა საჯარო სამართლის იურიდიული პირი ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც უსახლკარო ცხოველთა პოპულაციის კონტროლს მოემსახურება, არ არსებობს (პირისპირი ინტერვიუ, 10.05.24). იმ ქალაქებში, სადაც პოპულაციის მართვის სააგენტოების უფლებამოსილება

არ ვრცელდება, სერვისებს მერიები კერძო პირებისგან შეისყიდიან, სადაც სამედიცინო პროცედურები, როგორც უპატრონო, ისე პატრონიან ცხოველებს უტარდებათ (პირისპირი ინტერვიუ, 16.05.24). არსებობს ისეთი მუნიციპალიტეტებიც, სადაც კერძო სერვისიც კი არ არის და სახელმწიფო სერვისიც ძალზედ დაშორებულია (მაგალითად: მარტვილი, ცაგერი, ონი, ამბროლაური, მესტია და ა.შ.) (პირისპირი ინტერვიუ, 10.05.24). სოფლებში კი მიუსაფარ ცხოველთა პოპულაციის მართვა საერთოდ არ ხდება და, შესაბამისად, ცხოველები უკონტროლოდ მრავლდებიან (იქვე). მიუსაფარ ცხოველთა მართვის სააგენტოები უსახლკარო ცხოველების პოპულაციის კონტროლს მსოფლიოში აპრობირებული ჰუმანური მეთოდით - კასტრაცია-სტერილიზაციის პროცედურის ჩატარებით - ახორციელებენ, რაც ჰუმანური გზით ცხოველების რეპროდუქციული უნარის შეწყვეტას გულისხმობს (სსიპ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო, 2022; პირისპირი ინტერვიუ, 16.05.24; 23.05.24; 24.05.24; 25.05.24). გასტერილებული ან კასტრირებული ცხოველი აუცილებლად არის იდენტიფიცირებულიც - ქუჩაში ისინი ყურზე საჭლით ბრუნდებიან. ყოველ წელს, თბილისის ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო დაახლოებით 7000-მდე, ხოლო რეგიონების სააგენტოები 1000-მდე ცხოველს ასტერილებენ, რაც, რეალურად, პოპულაციის შესამცირებლად საკმარისი არ არის, ვინაიდან აღნიშნული რაოდენობები მუნიციპალიტეტებში არსებული ცხოველების დაახლოებით მხოლოდ 20%-ია, დანარჩენი 80% კი წელიწადში ორჯერ მრავლდება და შემდგომი წლისთვის უკვე გეომეტრიული პროგრესით გაზრდილ ნამატს იძლევა (პირისპირი ინტერვიუ, 25.05.24). 2024 წელს, თბილისის ცხოველთა მონიტორინგის სააგენტომ დაწერა მობილური ვეტერინარული კლინიკის სერვისი (პირისპირი ინტერვიუ, 16.05.24). სააგენტოები ვეტერინარულ კლინიკებთან თანამშრომლობენ, რომლებიც ვაქცინაციის, სტერილიზაციისა და კასტრაციის სერვისების მიწოდების დაჩქარებაში არიან ჩართულნი (პირისპირი ინტერვიუ, 16.05.24). სხვადასხვა დაწესებულებასთან აღნიშნული პროცედურების ჩატარებისთვის თანამშრომლობა თბილისში შედარებით უფრო აქტიურად მიმდინარეობს (პირისპირი ინტერვიუ; 10.05.24). განსაკუთრებით აღსანიშნავია თბილისის მონიტორინგის სააგენტოს თანამშრომლობა კლინიკა „ვეტჰაუსთან“ და საერთაშორისო საქველმოქმედო ორგანიზაცია „მეიჰიუსთან“, რომლებიც მიუსაფარი ძაღლებისა და კატების სტერილიზაციას, ცოფისა და ინფექციური დაავადებების საწინააღმდეგო ვაქცინაციას ახორციელებენ (პირისპირი ინტერვიუ, 16.05.24). თუმცა, რაც შეეხება მიუსაფარ ცხოველთა დაცვის ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და თავშესაფრებს, მათსა და მუნიციპალურ სამსახურებს შორის

თანამშრომლობა არ ხორციელდება. მათ შორის სხვადასხვა სახის დახმარებისა და რესურსის გაზიარება არ ხდება (პირისპირი ინტერვიუ, 06.05.24).

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის „რ“ ქვეპუნქტის მიხედვით, მუნიციპალიტეტებს შინაურ ცხოველთა ყოლის, მოვლა-პატრონობისა და მიუსაფარი ცხოველების კონტროლის წესების დადგენა თავად შეუძლიათ (საქართველოს პარლამენტი, 2014). შესაბამისად, მუნიციპალიტეტებს შესაბამისი დადგენილებები თავად აქვთ მიღებული. აღსანიშნავია, რომ მსგავსი დადგენილება საქართველოს 69 მუნიციპალიტეტიდან მხოლოდ 18-ს (თბილისი, რუსთავი, გორი, ხაშური, თელავი, საგარეჯო, გურჯაანი, დუშეთი, ბორჯომი, ახალქალაქი, ასპინძა, ბათუმი, ზუგდიდი, ოზურგეთი, ქუთაისი, წყალტუბო, ვანი, ფოთი) აქვს (პირისპირი ინტერვიუ, 10.05.24). აღნიშნული დადგენილებების შინაარსი ერთნაირია, კონცენტრირდება როგორც ძაღლებზე, ისე კატებზე და ადგენს მოთხოვნებსა და აკრძალვებს ცხოველების რეგისტრაციასა და იდენტიფიკაციაზე, პატრონის ვალდებულებებზე, ცხოველთა თავშესაფრების სტანდარტებზე, კასტრაცია-სტერილიზაციის პროცედურაზე, ევთანაზიაზე. იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული დადგენილებები ერთი შინაარსისაა, ისინი თბილისის დადგენილების მაგალითზეა გაანალიზებული.

მიუსაფარ ცხოველთა რაოდენობის გაზრდის თავიდან ასაცილებლად, დადგენილება სხვადასხვა აკრძალვასა და მოთხოვნას აერთიანებს. ცხოველის პატრონის სტატუსი, მშობლების ან მეურვის წერილობითი თანხმობის გარეშე, 16 წლამდე ასაკის პირს არ ენიჭება (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი, 2015). აგრეთვე, ცხოველთა პატრონებისა და მიმკვდლებლებისათვის სავალდებულოა ცხოველთა რეგისტრაცია და იდენტიფიკაცია, ვინაიდან დაკარგვის შემთხვევაში, მათი პოვნა ამგვარად უფრო მარტივია (იქვე). ვინაიდან რეგისტრაცია-იდენტიფიკაცია ერთიანი პროცედურაა, პატრონთა და მიმკვდლებელთა წასახალისებლად, რეგისტრაცია უფასოა, თუმცა იდენტიფიკაციის პროცედურა ფასიანია. მიუხედავად ამგვარი წახალისებისა და რეგულაციით გათვალისწინებული ვალდებულებისა, პატრონები და მიმკვდლებლები ხშირად არ არეგისტრირებენ ცხოველებს (პირისპირი ინტერვიუ, 06.05.24). არარეგისტრირებული ცხოველის ყოლა, აგრეთვე, ცხოველის უყურადღებოდ დატოვება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 103-ე მუხლის მიხედვით, ძაღლისა და კატის ყოლის წესების დარღვევად ითვლება, რაც მოქალაქის დაჯარიმებას მისი ანაზღაურების მეხუთედი რაოდენობით, ხოლო თანამდებობის პირის დაჯარიმებას ანაზღაურების ნახევრით ითვალისწინებს; განმეორებითი ქმედება (განუსაზღვრელი რაოდენობით) კი 50 ლარით ჯარიმდება (საქართველოს

პარლამენტი, 2010), რაც ძალიან მცირეა და იძულების ბერკეტს ვერ წარმოადგენს, მით უმეტეს, რომ არარეგისტრირებული ცხოველის შემთხვევაში, მის უყურადღებოდ დამტოვებელ პატრონს ვერც ვიპოვით. მეტიც, ცხოველების ყოლის წესების დარღვევის მონიტორინგი ქვეყანაში არ ხორციელდება (პირისპირი ინტერვიუ, 10.05.24), რაც რეგულაციის აღსრულების პრობლემაზე მიუთითებს. აღნიშნული კიდევ უფრო ნაკლებად კონტროლდება რეგიონებში (პირისპირი ინტერვიუ, 10.05.24).

მიუსაფარი ცხოველების პოპულაციის სამართავად, დადგენილება პრიორიტეტულ მეთოდად მსოფლიოში აპრობირებულ - ცხოველების შობადობის შემცირების უზრუნველყოფას - ასახელებს, რომლის მიხედვითაც მუნიციპალიტეტში ცხოველების ჰუმანური გზით დაჭერა და მათი კასტრაცია-სტერილიზაცია შესაბამისი სამსახურის მიერ უნდა განხორციელდეს (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი, 2015). სტერილიზაცია-კასტრაციის მოთხოვნა საქართველოში მეტად სუსტია და მიუსაფარ ცხოველთა პოპულაციის შემცირებას ხელს არ უწყობს. სტერილიზაცია-კასტრაციის ვალდებულება მხოლოდ მეტისი ანუ შერეული ჯიშის ცხოველებზე ვრცელდება (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი, 2015). შესაბამისად, ე.წ. „ჯიშიანი“ ცხოველების გამრავლება დაშვებულია. აღსანიშნავია ისიც, რომ, მეტწილად, პატრონები არც შერეული ჯიშის ცხოველებს უტარებენ სტერილიზაციისა და კასტრაციის პროცედურას, ვინაიდან არც ამის კონტროლისა და სადამსჯელო მექანიზმი არსებობს (პირისპირი ინტერვიუ, 17.04.24; 25.05.24).

ცხოველთა ევთანაზია საქართველოში, ზოგადად, მინიმალურად რეგულირდება. ზოგიერთი მუნიციპალიტეტის (მაგალითად, თელავის) ცხოველთა მოვლა-პატრონობისა და პოპულაციის მართვის შესახებ დადგენილებაში სიტყვა „ევთანაზია“ გამოყენებულიც კი არ არის და მის ნაცვლად სიტყვა „მოკვდინებას“ ვხვდებით (თელავის მუნიციპალიტეტი, 2022). ასევე, თბილისის დადგენილების გარდა, სხვა მუნიციპალიტეტების დადგენილებებში ევთანაზიისა და მოკვდინების მიზეზები განსაზღვრული არ არის. თბილისის დადგენილების მიხედვით, ცხოველთა ევთანაზია მხოლოდ ჰუმანური მეთოდების გამოყენების გზით, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ტანჯვის მიყენების გარეშე დასაშვებია (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი, 2015). თუმცა, როგორც აღმოჩნდა, მოცემული რეგულაცია ხშირად მხოლოდ სიმბოლურია, ვინაიდან ვეტერინარული კლინიკები ევთანაზიისთვის სხვადასხვა მედიკამენტსა და მათ კომბინაციებს იყენებენ; რეგიონებში კი უმტკივნეულო ევთანაზიის ჩასატარებელი მედიკამენტებიც არ აქვთ (გვასალია, 2020). ქვეყანაში ხშირია მყარი სამედიცინო მტკიცებულების გარეშე ჩატარებული ევთანაზიებიც (იქვე).

2019 წელს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შევიდა ცვლილება: კერძოდ, 104-ე მუხლის მიხედვით, ცხოველისადმი არასათანადო მოპყრობა, რამაც გამოიწვია მისი ტანჯვა, დასახიჩრება და ტკივილის მიყენება, 100 ლარიდან 500 ლარამდე ჯარიმას ითვალისწინებს (საქართველოს პარლამენტი, 2019); არასრულწლოვანის შემთხვევაში 100 ლარიდან 300 ლარამდე ოდენობით ჯარიმდება მისი მშობელი ან შემცვლელი პირი (იქვე). 2023 წელს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 259-ე მუხლი უფრო გამკაცრდა. ცხოველის უფრო სასტიკ წამებაზე ან სხვა სახის ძალადობაზე, რომელმაც ცხოველის დასახიჩრება გამოიწვია, სასჯელი ჯარიმას, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას 120 საათიდან 240 საათამდე, 6 თვიდან 1 წლამდე შინაპატიმრობას ან ორ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს (საქართველოს პარლამენტი, 2023); იმ შემთხვევაში, როდესაც იგივე ქმედება ჩადენილია რამდენჯერმე, ჯგუფურად, საჯაროდ, რამდენიმე ცხოველის მიმართ ან/და არასრულწლოვანის თანდასწრებით, დამნაშავე ჯარიმით, 1 წლიდან 2 წლამდე შინაპატიმრობით ან 1 წლიდან 3 წლამდე პატიმრობით ისჯება (იქვე). თუ სასტიკი მოპყრობის შედეგად ცხოველი დაიღუპება, აღნიშნული სასჯელი მძიმდება (ჯარიმისა და შინაპატიმრობის გარდა) და 1 წლიდან 4 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს (იქვე). ხოლო თუ ცხოველისადმი სასტიკმა მოპყრობამ გამოიწვია მისი დაღუპვა და ეს ქმედება ჩადენილია რამდენჯერმე, ჯგუფურად, საჯაროდ, რამდენიმე ცხოველის მიმართ ან/და არასრულწლოვანის თანდასწრებით, დამნაშავე ჯარიმით, 1 წლიდან 2 წლამდე შინაპატიმრობით ან 2 წლიდან 4 წლამდე თავისუფლების აღკვეთით ისჯება (იქვე). რეალურად, ხშირ შემთხვევაში, არც აღნიშნული მუხლები წარმოადგენს ბერკეტს, ვინაიდან არამხოლოდ რეგიონებში, ასევე თბილისშიც, მსგავს სიტუაციაზე რეაგირება იშვიათია, ძირითადად, არაკვალიფიციური და არასაკმარისი კადრების გამო (პირისპირი ინტერვიუ, 06.05.24). მიუსაფარი ცხოველებისადმი სასტიკ მოპყრობაზე ჯარიმას გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი აწესებს, თუმცა, კვალიფიციური კადრების ნაკლებობის გამო, ხშირად სათანადო და არასათანადო მოპყრობას და მის სიმძიმეს შორის გამყოფი ხაზის გავლება უჭირთ (პირისპირი ინტერვიუ, 10.05.24). უსახლკარო ცხოველთა მიმართ არასათანადო მოპყრობაზე რეაგირება ძირითადად მედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გაშუქებისა და ჩარევის შემდეგ ხდება, შესაბამისად, თუ ინფორმაცია არ გავრცელდა, რეაგირებაც ნაკლებია ან საერთოდ არ არის (პირისპირი ინტერვიუ, 10.05.24).

ცხოველების გამრავლებასა და შეჯვარებაზე საქართველოში ლიცენზია საჭირო არ არის, რაც მეტად მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს; ნებისმიერ პირს თავისუფლად შეუძლია ცხოველების გამრავლება ინდივიდუალურად ან საშენის მოწყობით (პირისპირი ინტერვიუ,

10.05.24). ქვეყანაში საშენების მოსაწყობად არათუ ლიცენზია, არამედ მათი რეგისტრაციაც არ არის საჭირო. შესაბამისად, რეგისტრირებული არც საშენებიდან გამოყვანილი ცხოველები არიან (პირისპირი ინტერვიუ, 10.05.24). მეტიც, ის ფაქტი, რომ კანონით მხოლოდ მეტისების სტერილიზაციაა სავალდებულო, შემაშფოთებელია იმ აზრით, რომ ეს გამამრავლებელთა საქმიანობას უწყობს ხელს. ამას გარდა, საქართველოში ლიცენზირებადი საქმიანობა არც ვეტერინარიაა (პირისპირი ინტერვიუ, 25.04.24). ეს ნიშნავს, რომ ნებისმიერ პირს შეუძლია დიპლომი გარე წყაროდან მიიღოს და კლინიკა მარეგულირებელი ზედამხედველობის გარეშე გახსნას. ზოგადად, ვეტერინარიის დეპარტამენტს აქვს ვეტერინარული საქმიანობის განმახორციელებელთა რეესტრი, რომელსაც „ვეტერინარული და ცხოველთა ჭერის განმახორციელებელი პირების რეესტრი“ ეწოდება (პირისპირი ინტერვიუ, 25.04.24). ამ ბაზაში რეგისტრირებულ კლინიკებს გეგმურად ამოწმებენ, თუმცა, არსებობს ისეთი ვეტერინარული კლინიკებიც, რომლებიც რეგისტრირებული არ არიან და, შესაბამისად, მათი არსებობის შესახებ დეპარტამენტს არ აქვს ინფორმაცია (პირისპირი ინტერვიუ, 25.04.24). ანუ, არ არსებობს ერთიანი ბაზაც კლინიკებისა, რომელთა მონიტორინგიც უნდა განხორციელდეს.

მიუსაფარ ცხოველთა პოლიტიკის განსახორციელებლად, მუნიციპალიტეტების საკრებულოები ბიუჯეტიდან ყოველწლიურად გამოყოფენ თანხებს, რომლებიც მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურის მხრიდან არის ათვისებული (პირისპირი ინტერვიუ; 25.04.24). იქიდან გამომდინარე, რომ თბილისისა და რუსთავის ცხოველთა მონიტორინგის სამსახურები მხოლოდ მათსავე მუნიციპალიტეტებს ემსახურება, გამოყოფილი დაფინანსება მხოლოდ ამ მუნიციპალიტეტთა ფარგლებში მოქმედებს. შიდა ქართლისა და კახეთის ცხოველთა პოპულაციის მართვის ცენტრები კი ინტერმუნიციპალურია, ამიტომ, ისინი იმ მუნიციპალიტეტებისგან იღებენ დაფინანსებას, რომელთაც ისინი ემსახურებიან (პირისპირი ინტერვიუ, 10.05.24). ფინანსების გამოყოფის წესი ცენტრების წესდებებით არის განსაზღვრული. წლიური საწევრო გადასახადის ოდენობა წელიწადში ერთხელ ჩატარებული საერთო კრების გადაწყვეტილებით დგინდება (ა(ა)იპ მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის კახეთის ინტერმუნიციპალური სააგენტო, 2021; ა(ა)იპ მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის შიდა ქართლის ინტერმუნიციპალური სააგენტო, 2021). დაფინანსება ხელფასებზე, სანიტარულ, უსაფრთხოების, სხვა ტექნიკურ პირობებზე, საწვავზე, ოფისების ინვენტარზე, ცხოველთა საკვებზე, ვაქცინაციების, წამლებისა და ოპერაციების, ღონისძიებების/პროგრამების (მაგალითად, მობილური ვეტერინარული და სხვა თანამშრომელი კლინიკების დაფინანსების) ხარჯებზე ნაწილდება (პირისპირი ინტერვიუ, 16.05.24). გამოყოფილი

ბიუჯეტი მეტწილად ინფრასტრუქტურულ და ლოჯისტიკურ საკითხებს ხმარდება. შესაბამისად, თავად ცხოველთა პოპულაციის შემცირების პროგრამებისთვის დარჩენილი თანხა საჭირო რესურსების მხოლოდ 20%-ია; დაფინანსება არ გამოიყოფა ცხოველების რაოდენობის პროპორციულად (პირისპირი ინტერვიუ, 10.05.24). იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც ცხოველთა პოპულაციის კონტროლის სამსახური არ არსებობს, სერვისების შესყიდვა, ტენდერების მეშვეობით, კომერციული პირებისგან ხდება, თუმცა აღნიშნული სერვისები ცხოველების რაოდენობის პროპორციული არც ამ შემთხვევაშია (პირისპირი ინტერვიუ, 06.05.24). საქართველოში, მიუსაფარ ცხოველთა პოლიტიკის განხორციელებისას, არ გამოიყენება ისეთი ფინანსური ინსტრუმენტები, როგორებიცაა სუბსიდიები და გრანტები, ასევე, ცხოველთა ყოლის გადასახადები. (პირისპირი ინტერვიუ, 16.05.24). აგრეთვე, არ ხდება არასამთავრობო ორგანიზაციების თავშესაფრებისა და მათი ვეტერინარული კლინიკების თანადაფინანსება, არასამთავრობო ორგანიზაციათა სერვისების მხარდაჭერა (პირისპირი ინტერვიუ, 10.05.24). ექსპერტები თვლიან, რომ კვალიფიციური რესურსების, შესაბამისი აღჭურვილობისა და ფინანსური რესურსების სიმწირის გამო, მიუსაფარ ცხოველთა პოპულაციის შესამცირებლად, სათანადო პოლიტიკა არ ხორციელდება. მათი აზრით, საჭიროა არაადეკვატური ინფრასტრუქტურული დანახარჯების შემცირება და ვეტერინარული კლინიკებისა და არასამთავრობო ორგანიზაციათა სერვისების თანადაფინანსება, რაც პოპულაციის ეფექტიან მართვას შეუწყობს ხელს (პირისპირი ინტერვიუ, 06.05.24; 10.05.24).

ცხოველთა პატრონობის წესების, ცხოველთა თავშესაფრიდან აყვანისა და მიუსაფარ ცხოველთა შესახებ ცნობიერების ამაღლება მუნიციპალიტეტებს ევალებათ, თუმცა შესაბამისი კამპანიები ხშირად არ ხორციელდება (პირისპირი ინტერვიუ, 10.05.24). საზოგადოებასთან საინფორმაციო შეხვედრები და დისკუსიები პერიოდულად სხვადასხვა ქალაქში (თბილისში, გორში, რუსთავში, თელავში, მარნეულში, დმანისში, ქუთაისში ზუგდიდში, ოზურგეთსა და ბათუმში) ტარდება, რომელთაგან შედარებითი სიხშირით დედაქალაქი, ქალაქი თბილისი, გამოირჩევა (პირისპირი ინტერვიუ, 16.05.24). საინფორმაციო შეხვედრებისა და დისკუსიების მსვლელობისას, განიხილავენ მიუსაფარ ცხოველთა პრობლემის სიმწვავეს, კასტრაცია-სტერილიზაციის, ვაქცინაციის, ქუჩებიდან და თავშესაფრებიდან ცხოველების აყვანის მნიშვნელობას (პირისპირი ინტერვიუ, 16.05.24). რუსთავის, შიდა ქართლის, კახეთის ცხოველთა პოპულაციის მართვის სააგენტოები აცხადებენ, რომ პერიოდულად ატარებენ საინფორმაციო შეხვედრებს სკოლის მოსწავლეებთან და სტუდენტებთან და ნებისმიერი ასაკის დაინტერესებულ პირებთან (პირისპირი ინტერვიუ, 23.05.24; 24.05.24; 25.05.24). აღნიშნული სააგენტოებიდან, ფეისბუქ

გვერდი არ აქვს მხოლოდ რუსთავის ცხოველთა პოპულაციის მართვის ცენტრს, შესაბამისად, მის მიერ ინფორმაციის ონლაინ ფორმატით გავრცელება შეზღუდულია (პირისპირი ინტერვიუ, 23.05.24). შიდა ქართლისა და კახეთის ცენტრები ინფორმაციას თავიანთი საქმიანობისა და თავშესაფარში მყოფი ცხოველების გაჩუქების შესახებ, საკუთარი ფეისბუქ გვერდების მეშვეობით ავრცელებენ (პირისპირი ინტერვიუ, 24.05.24; 25.05.24). სხვა რეგიონებში მიუსაფარ ცხოველთა და ცხოველების მოვლა-პატრონობის წესების შესახებ ინფორმაცია (ონლაინ თუ არაონლაინ ფორმატით) ნაკლებად ან თითქმის არ ვრცელდება (პირისპირი ინტერვიუ, 06.05.24; 10.05.24).

ცხოველთა მოვლა-პატრონობის, ქუჩებიდან და თავშესაფრებიდან ცხოველთა აყვანისა და მიუსაფარი ცხოველების თემატიკაზე ცნობიერების ამაღლება თბილისში შედარებით აქტიურად, თუმცა არასაკმარისი სიხშირით, მიმდინარეობს (პირისპირი ინტერვიუ, 06.05.24; 10.05.24). თბილისის მონიტორინგის სააგენტოს მიხედვით, მისი წარმომადგენლები პერიოდულად სკოლებში საინფორმაციო-შემეცნებითი ხასიათის შეხვედრებს ატარებენ (სსიპ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო, 2018). ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს ვებგვერდსა და ფეისბუქ გვერდზე ხშირად თავსდება ინფორმაცია თავშესაფრიდან გასაჩუქებელი ცხოველების შესახებ (სსიპ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო, 2018); სააგენტო, აგრეთვე, ცხოველების სტერილიზაცია-კასტრაციის მნიშვნელობის შესახებ საინფორმაციო რგოლებსაც აქვეყნებს (პირისპირი ინტერვიუ; 16.05.24). საზოგადოების ინფორმირებისა და ცნობიერების ამაღლების მიზნით, მონიტორინგის სააგენტო პერიოდულად ვეტერინარულ კლინიკებში ათავსებს პოსტერებს და არიგებს ბროშურებს, რომლებიც შემდგომ ცხოველთა პატრონებს გადაეცემათ, რათა ცხოველთა ყოლის, მოვლა-პატრონობისა და მიუსაფარ ცხოველთა პოპულაციის კონტროლის შესახებ სწორი ინფორმაცია ჰქონდეთ (სსიპ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო, 2018). ცხოველთა დაცვის არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა აზრით, აღნიშნული კამპანიები ძალიან სასარგებლოა, თუმცა იშვიათად ტარდება (პირისპირი ინტერვიუ; 25.04.24; 10.05.24). მიუსაფარ ცხოველთა მიმართ, საზოგადოებაში ფართოდაა გავრცელებული სტერეოტიპული შეხედულებები და არასწორი დამოკიდებულება, რაც მხოლოდ ცნობიერების ამაღლებით დაიძლევა. ვინაიდან ამ საკითხზე მუშაობაც მუნიციპალიტეტების მოვალეობაა, მათ შესაბამისი კამპანიები უფრო ხშირად უნდა დაგეგმონ და აწარმოონ. შეიძლება ითქვას, რომ ვინაიდან ხსენებული პროექტები ხშირად არ ტარდება და ცნობიერების ამაღლების მცდელობა, ძირითადად, ონლაინ საინფორმაციო კამპანიებს ეყრდნობა, აღნიშნული ინსტრუმენტი ნაკლებადაა გამოყენებული. უფრო რთული მდგომარეობაა რეგიონებში, სადაც მსგავსი პროექტები თითქმის არ ტარდება. საინფორმაციო შეხვედრები და

დისკუსიები, ყველა რეგიონში, სხვადასხვა ასაკის ადამიანთა ჯგუფებთან ხშირად უნდა ჩატარდეს, აგრეთვე, საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად აქტიურად დაიწყოს ტელევიზიის გამოყენება და ცხოველთა მოვლა-პატრონობის, კასტრაცია-სტერილიზაციისა და მიუსაფარ ცხოველთა საკითხების შესახებ პოსტერები ყველა შესაძლო ადგილას გაიკრას.

კვლევის განმავლობაში შეგროვებული რელევანტური კანონების, წესდებების, დოკუმენტების, კვლევების, გადაწყვეტილების მიმღებთა და ექსპერტებთან ჩატარებული ინტერვიუების ანალიზის შედეგად მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით, საქართველოსა და ევროკავშირის ქვეყნებში გამოყენებული მიუსაფარ ცხოველთა პოლიტიკის ინსტრუმენტების შედარება განხორციელდა. აღნიშნულმა კი როგორც მათ შორის მსგავსება-განსხვავების ანალიზის, აგრეთვე, მათი მიზეზების თეორიულად ახსნის საშუალება მომცა.

მსგავსება და განსხვავება ორგანიზაციის ინსტრუმენტებში. საქართველოშიც, ევროკავშირის ქვეყნების მსგავსად, მიუსაფარ ცხოველთა პოლიტიკის განხორციელებაზე პასუხისმგებელია მუნიციპალიტეტები. *სააგენტოების შექმნის* მხრივ, საქართველოსა და ევროკავშირის ქვეყნებში, ძირითადი განსხვავება მუნიციპალურ უწყებათა რაოდენობაში მდგომარეობს - მაშინ, როდესაც ევროკავშირის ქვეყნებში თითქმის ყველა მუნიციპალიტეტს აქვს მიუსაფარ ცხოველთა პოპულაციების მართვის შესაბამისი უწყება (Tasker, 2007; პირისპირი ინტერვიუ, 10.05.24), საქართველოში მხოლოდ ოთხი ასეთი სააგენტოა. ორივე რეგიონი მიუსაფარ ცხოველთა კონტროლის *პროგრამებითა და სერვისებითაც* ჰგავს ერთმანეთს - ევროკავშირის ქვეყნებმა და საქართველომ (ამ უკანასკნელმა, მართალია, დაგვიანებით) მიიღეს უსახლკარო ცხოველების მართვის ჰუმანური მეთოდები, რაც მათი რაოდენობის კონტროლისადმი ეთიკურ მიდგომას გულისხმობს. საქართველოში, მიუსაფარ ცხოველთა პოლიტიკის მიზნისა (მიუსაფარ ცხოველთა ჰუმანური გზით შემცირება და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვა) და შესაბამისი პროგრამების (რეგისტრაცია-იდენტიფიკაციისა და TNR პროგრამები) ტრანსფერი ევროკავშირის ქვეყნებიდან ნებაყოფლობით განხორციელდა, რაშიც, სახელმწიფოსთან ერთად, მნიშვნელოვანი როლი არასამთავრობო ორგანიზაციებმა შეასრულეს. 2014 წლიდან კი იძულებითი ხასიათიც მიიღო - საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება ევროკავშირის სტანდარტებსა და პრაქტიკებთან შესაბამისობას მოითხოვს, რაც ცხოველებთან დაკავშირებულ საკითხებსაც ითვალისწინებს. რაც შეეხება განსხვავებას მიუსაფარ ცხოველთა პოლიტიკის თვალსაზრისით, საქართველოსა და ევროკავშირის მიერ გამოყენებულ ინსტრუმენტებს შორის ერთ-ერთი მთავარი განსხვავება მუნიციპალური უწყებების მხრიდან ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან

თანამშრომლობის ინსტრუმენტის გამოყენებაშია. ევროკავშირის ქვეყნებში მუნიციპალიტეტები აქტიურად თანამშრომლობენ ცხოველთა დაცვის ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ცხოველთა პოპულაციის ეფექტიანი კონტროლისათვის ერთმანეთს რესურსებსა და სერვისებს უზიარებენ (Tasker, 2007). მეტიც, ზოგიერთ წევრ ქვეყანაში (მაგალითად: შვედეთი, ბელგია) ცხოველთა თავშესაფრების მართვა არასამთავრობო ორგანიზაციებს აქვთ გადაბარებული (Papavasili et al., 2022; Tasker, 2007). საქართველოში კი, მუნიციპალიტეტები არ თანამშრომლობენ მიუსაფარ ცხოველთა ადგილობრივ ორგანიზაციებთან, რაც პოპულაციის მართვის პოლიტიკის ეფექტიანობას მნიშვნელოვნად აფერხებს (პირისპირი ინტერვიუ, 17.04.24); სამაგიეროდ, როგორც ევროკავშირის ქვეყნებში, ისე საქართველოში იდება *შეთანხმებები* კერძო ვეტერინარულ კლინიკებთან, რომლებიც სახელმწიფო უწყებებს მომსახურებას აწვდიან; ორივე რეგიონში, სახელმწიფო სააგენტოები ერთმანეთთან და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან *თანამშრომლობენ* (Tasker, 2007; პირისპირი ინტერვიუ, 10.05.24).

მსგავსება და განსხვავება ძალაუფლების ინსტრუმენტებში. საქართველოსა და ევროკავშირის ქვეყნებში, მსგავსი რეგულაციები და მოთხოვნები არსებობს, თუმცა, მეტად მნიშვნელოვანია განსხვავება მათ სიმკაცრეს შორის. ევროკავშირის უმეტეს ქვეყნებში შინაური ცხოველების რეგისტრაციის, იდენტიფიკაციისა და სტერილიზაცია-კასტრაციის მოთხოვნებს მათი შეუსრულებლობის შემთხვევაში, შესაბამისი საჯარიმო რეგულაციები განამტკიცებს - დაურეგისტრირებელი, დაუიდენტიფიცირებელი და გაუსტერილებელი ცხოველის აღმოჩენის შემთხვევაში, *ჯარიმები* მაღალია, რამაც მიუსაფარ ცხოველთა რაოდენობის შემცირებაში დიდი წვლილი შეიტანა (Lashina, 2020; Papavasili et al., 2022); საქართველოში კი, იმავე ქმედებაზე დაბალი ჯარიმის გამო, პატრონები ხშირად არც არეგისტრირებენ (და, შესაბამისად, ვერ აიდენტიფიცირებენ) ან/და ასტერილებენ თავიანთ ცხოველებს (პირისპირი ინტერვიუ, 06.05.24; 10.05.24). საინტერესოა, რომ საქართველოში მხოლოდ მეტისი ანუ შერეული ჯიშის ცხოველების კასტრაცია-სტერილიზაციაა სავალდებულო, რაც, ჰგავს რუმინეთის შემთხვევას, რომელიც მიუსაფარ ცხოველთა შესახებ ლიბერალური (ნაკლებად მკაცრი) რეგულაციების მქონე ქვეყანაა. გარდა თავად რეგულაციების სიმკაცრისა, უნდა აღინიშნოს აღსრულების დონის განსხვავებაც. საქართველოში, ევროკავშირის ქვეყნებისგან განსხვავებით (გარდა ლიბერალური რეგულაციების მქონე ქვეყნებისა), სუსტია ქმედებების განხორციელების მონიტორინგის მექანიზმები, და, ლოგიკურად, აღსრულებაც (პირისპირი ინტერვიუ, 06.10.24; 10.05.24). საქართველოში ცხოველებისადმი სასტიკი მოპყრობისა და ევთანაზიის შესახებ მუხლებიც პრობლემურია - კანონი არ განსაზღვრავს ჯარიმის რაოდენობას,

რაც ინტერპრეტირების საშუალებას იძლევა და შესაბამისად არ სჯის ცხოველთა მიმართ სასტიკი ქმედების ჩამდენს ან ევთანაზიის ჰუმანურად ჩატარების წესის დამრღვევს; მსგავსი რეგულაციები, ევროკავშირის უმეტეს ქვეყნებში (ძირითადად მკაცრი და ზომიერი სიმკაცრის რეგულაციების მქონე ქვეყნებში) უფრო დეტალურადაა გაწერილი და მსგავსად ინტერპრეტირების საშუალებას ფაქტობრივად არ იძლევა (პირისპირი ინტერვიუ, 10.05.24). ძალაუფლების ინსტრუმენტის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი განსხვავება სელექციონერებისა (ბრიდერების) და ვეტერინარების *ლიცენზირებაშიც* მდგომარეობს. ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, სელექციონერებისთვის ლიცენზიის აღება სავალდებულოა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი საქმიანობას ვერ განახორციელებენ (Eurogroup for Animals, 2023). საქართველოში კი მსგავსი აკრძალვა არ მოქმედებს; ამას, თავის მხრივ, ხელს უწყობს ის, რომ ქვეყანაში მხოლოდ მეტისი ცხოველების კასტრაცია-სტერილიზაციაა სავალდებულო. როგორც აღვნიშნე, ევროკავშირის ქვეყნებისგან განსხვავებით, საქართველოში ვეტერინარული საქმიანობის *ლიცენზირებაც* არ არის საჭირო. აღნიშნული ცხოველთა კეთილდღეობასაც რისკის ქვეშ აყენებს, თუმცა, ეს საფრთხე ლოგიკურია, ვინაიდან, ევროკავშირის უმეტესი ქვეყნებისგან განსხვავებით, საქართველოს არ აქვს ცხოველთა კეთილდღეობაზე ორიენტირებული სტრატეგია (პირისპირი ინტერვიუ, 25.04.24). მეტიც, საქართველოში მიუსაფარ ცხოველთა შესახებ *კანონები მწირი და ფრაგმენტულია*, რაც მიუსაფარ ცხოველთა პოპულაციის სათანადოდ მართვას ვერ უზრუნველყოფს. შესაბამისი კანონების სიმწირითა და ფრაგმენტულობით, საქართველო მიუსაფარ ცხოველთა შესახებ ლიბერალური (ნაკლებად მკაცრი) რეგულაციების მქონე ქვეყნებს ჰგავს. მკაცრი და ზომიერი სიმკაცრის რეგულაციების მქონე ქვეყნებში, კანონები მიუსაფარ ცხოველთა შესახებ სრულყოფილია (Tasker, 2007).

მსგავსება და განსხვავება ფინანსური რესურსის ინსტრუმენტებში. ევროკავშირის ბევრ ქვეყანაში (მაგალითად: ბელგიაში, შვედეთში, ნიდერლანდებში და ა.შ.) მუნიციპალიტეტები უსახლკარო ცხოველების თავშესაფართა და პროგრამათა მხარდასაჭერად კრიტიკულ ფინანსურ როლს თამაშობენ. ისინი საკუთარი თავშესაფრებისა და პროგრამების დაფინანსების გარდა, არასამთავრობო ორგანიზაციათა და მათ კლინიკათა *თანადაფინანსებასაც* ახორციელებენ (Papavasili et al., 2022; Tasker, 2007). მსგავსი ფინანსური უზრუნველყოფის მექანიზმი მიუსაფრების პროგრამათა განხორციელებისათვის რესურსების მაქსიმალურ მობილიზაციას ცდილობს. საპირისპიროდ, საქართველოში თანადაფინანსების პრაქტიკა არ არსებობს იქიდან გამომდინარე, რომ მუნიციპალიტეტები არ თანამშრომლობენ მიუსაფარ ცხოველთა ადგილობრივ არასამთავრობო

ორგანიზაციებთან. მეტიც, საქართველოში მუნიციპალიტეტები მხოლოდ საკუთარ (სახელმწიფო) პროგრამებსა და თავშესაფრებს აფინანსებენ; ასევე, არ გამოიყენება სუბსიდირების ინსტრუმენტი, რაც მიუსაფარ ცხოველთა პოპულაციის კონტროლს გაამარტივებდა და ეფექტიანს გახდიდა (პირისპირი ინტერვიუ, 10.05.24). გარდა ამისა, საქართველოში ცხოველთა ფლოობის გადასახადიც არ არის დაწესებული, რაც ავსტრიაში, გერმანიაში, საფრანგეთში, შვედეთსა და ბულგარეთში წარმატებით მოქმედებს (Baka et al., 2020; Lashina, 2020; Papavasili et al., 2022; Vasileva & McCulloch, 2023).

მსგავსება და განსხვავება ინფორმაციით უზრუნველყოფის ინსტრუმენტებში. საქართველოში, ცხოველთა თავშესაფრებიდან აყვანის (ე.წ. „აიყვანე, არ იყიდე“), მათი პატრონობისა და მიუსაფარ ცხოველთა შესახებ ცნობიერების ამაღლების კამპანიები ძირითადად *ონლაინ პლატფორმებს, ვებტრინარულ კლინიკებში ბროშურების დარიგებასა და სკოლებში პერიოდულ შეხვედრებს* (რეკლამირებისა და საინფორმაციო შეხვედრების ინსტრუმენტებს) ეყრდნობა. აღნიშნულ პროექტებში მცირეა მუნიციპალიტეტთა წვლილი იმის გათვალისწინებით, რომ კამპანიათა უმრავლესობას ძირითადად არასამთავრობო ორგანიზაციები და თბილისის სსიპ მონიტორინგის სააგენტო ახორციელებს (პირისპირი ინტერვიუ, 10.06.24). ევროკავშირთან შედარებით, საქართველო, საჯარო სექტორის მხრიდან, ცხოველთა აყვანის, მათი მოვლისა და მიუსაფართა შესახებ ცნობიერების ამაღლების სტრუქტურირებული, ყოვლისმომცველი და ხშირი კამპანიების დანაკლისს განიცდის. საპირისპიროდ, ევროკავშირის ქვეყნები უსახლკარო ცხოველების პოლიტიკას სასკოლო *სასწავლო გეგმებშიც* აერთიანებენ, მასწავლებლები კი ამ საკითხზე სპეციალურ *ტრენინგებსაც* კი ესწრებიან (Lashina, 2020; Sinchilo, 2020); გამოიყენება *პოსტერები, სატელევიზიო ვიდეორგოლები*; ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, *მოსახლეობასთან ინფორმაციული შეხვედრები და ტრენინგები*, აგრეთვე, აქტიურად ხორციელდება (Papavasili et al., 2022). ექსპერტები ხაზს უსვამენ მიუსაფარ ცხოველთა შესახებ ცნობიერების ამაღლების საჭიროებას საქართველოში და განმარტავენ, რომ მიუსაფართა ჭარბი პოპულაციის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ცხოველთა კეთილდღეობისა და მათი მოვლა-პატრონობის წესების შესახებ დაბალი ინფორმირებულობაა (პირისპირი ინტერვიუ, 17.04.24; 25.04.24; 06.05.24; 10.05.24).

საქართველოსა და ევროკავშირის ქვეყნების მიერ გამოყენებული მიუსაფარ ცხოველთა პოლიტიკის ინსტრუმენტების მსგავსებისა (კონვერგენციის) და განსხვავების (დივერგენციის) მიზეზების დადგენა ნილის (2005) კონვერგენციისა და დივერგენციის თეორიით განხორციელდა.

შეგროვებულ ინფორმაციასა და აღნიშნულ თეორიაზე დაყრდნობით, ინსტრუმენტთა მსგავსების მიზეზებად ევროკავშირის ქვეყნებთან მიუსაფარი ცხოველების პოლიტიკისა და, შესაბამისად, ინსტრუმენტების ჰარმონიზაცია და კომუნიკაციის მიზეზები გამოიყო. ჩნდება ლოგიკური კითხვა: თუკი ინსტრუმენტთა მსგავსების მიზეზები ჰარმონიზაცია და კომუნიკაციაა, მაშ, რა იწვევს მათ განსხვავებას? ინსტრუმენტთა განსხვავების მიზეზები საქართველოში წარსულზე დამოკიდებულება და ხარჯების გაზრდის დაბალი პოლიტიკური ნებაა, რომლებიც, ნილის (2005) მიხედვით, პოლიტიკის პირობების კომპონენტებია (პოლიტიკის პირობების განსხვავება, პოლიტიკის ინსტრუმენტების დივერგენციას, ანუ განსხვავებას იწვევს).

მსგავსების მიზეზი - ჰარმონიზაცია. 1974 წელს მიღებული „ხელშეკრულება ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ“, 1987 წლის „შინაური კომპანიონი ცხოველების დაცვის ევროპული კონვენცია“ და 2011 წელს მიღებული „ევროპარლამენტის დეკლარაცია მიუსაფარი ძაღლების პოპულაციის მართვის შესახებ“ წევრ ქვეყნებს მოუწოდებს ცხოველების პოპულაციის მართვის ჰუმანური მეთოდებისკენ, რომელიც მიუსაფარ ცხოველთა ხოცვას კრძალავს და ემხრობა ისეთ პროცედურებს, როგორებიცაა კასტრაცია-სტერილიზაცია, ვაქცინაცია, ცხოველის პასუხისმგებლობით მფლობელობა (The CARO Project, 2023). შესაბამისად, ევროკავშირის წევრ ქვეყნებში მიუსაფართა კონტროლის ჰუმანური მეთოდები დაინერგა. საქართველომ, როგორც ევროკავშირში გაერთიანების მსურველმა ქვეყანამ, სცადა, რომ მიუსაფარ ცხოველთა მართვის პოლიტიკის ინსტრუმენტები ევროკავშირის ქვეყნებში მიღებულ ინსტრუმენტებთან დაეახლოებინა, რაც 2014 წელს მიღებული ასოცირების ხელშეკრულების შემდეგ უფრო განმტკიცდა (პირისპირი ინტერვიუ, 16.05.10). შესაბამისად, საქართველოში, მიუსაფარ ცხოველთა პოლიტიკა, უსახლკარო ცხოველთა მასობრივი ლიკვიდაციიდან მათი მართვის ჰუმანურ მეთოდებზე გადავიდა, რაც, ძირითადად, სააგენტოების შექმნის, მოთხოვნების დანერგვის, რეგულირების, სახელმწიფო სააგენტოებთან, კერძო კლინიკებთან, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის, შეთანხმებების, სახელმწიფო პროგრამების დაფინანსებისა და სერვისების მიწოდების, ინფორმაციის გავრცელების ინსტრუმენტებით ხორციელდება და ევროკავშირის ქვეყნების მსგავსია. ნილის (2005) მიხედვით, პოლიტიკის ინსტრუმენტების საერთაშორისო სამართლის მეშვეობით ჰარმონიზაცია, პოლიტიკის ინსტრუმენტთა დაახლოების/მსგავსების/კონვერგენციის ერთ-ერთი მიზეზია. შესაბამისად, შეგვიძლია, ვთქვათ, რომ პოლიტიკის ინსტრუმენტების ჰარმონიზაციამ უზრუნველყო ევროკავშირის ქვეყნებისა და საქართველოს მიერ გამოყენებული მიუსაფარ ცხოველთა პოლიტიკის ინსტრუმენტების მსგავსება.

მსგავსების მიზეზი - კომუნიკაცია. მიუსაფარ ცხოველთა პოლიტიკის ინსტრუმენტების დაახლოებაში, საქართველოსა და ევროკავშირის ქვეყნებს შორის ამ პოლიტიკის შესახებ კომუნიკაცია მნიშვნელოვან როლს ასრულებს. პოლიტიკის შემქმნელები და ექსპერტები, სხვადასხვა საერთაშორისო პლატფორმის მეშვეობით, საქართველოს ინფორმაციას უსახლკარო ცხოველების პოპულაციის მართვის ინსტრუმენტების შესახებ პერმანენტულად უზიარებენ (პირისპირი ინტერვიუ, 24.05.24). ისეთი ორგანიზაციები, როგორცაა ცხოველთა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია (WOAH/OIE) და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები (მაგალითად, Mayhew International, Dog Trust და ა.შ.) საქართველოს ცხოველთა მონიტორინგის ცენტრებში პერიოდულად ატარებენ ვიზიტებს, ვორქშოფებსა და პროექტებს (რეგისტრაცია-იდენტიფიკაციის, სტერილიზაცია-კასტრაციის მნიშვნელობის, ცხოველებთან მოპყრობის ტექნიკების, ვეტერინარული პრაქტიკების გაუმჯობესებისა და ა.შ. შესახებ), რაც ხელს უწყობს ცოდნის, გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას (სსიპ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო, 2016; 2024; პირისპირი ინტერვიუ, 16.05.24; 23.05.24). ამგვარი საკომუნიკაციო არხების გამოყენებამ ევროკავშირის ქვეყნებისა და საქართველოს მიერ გამოყენებული მიუსაფარ ცხოველთა პოლიტიკის ინსტრუმენტების მსგავსება გაზარდა.

განსხვავების მიზეზი - წარსულზე დამოკიდებულება. წარსულზე დამოკიდებულება გულისხმობს იმას, თუ როგორ მოქმედებს ისტორიული მოვლენები და გადაწყვეტილებები დღევანდელი პოლიტიკის ლანდშაფტზე (David, 2007). მიუსაფარ ცხოველთა თვალსაზრისით, საქართველოსა და ევროკავშირის უმეტეს ქვეყნებს აქვთ განსხვავებული ისტორიული კონტექსტი და ტრაექტორია, რომელიც მათი ამჟამინდელი პოლიტიკის ინსტრუმენტების ჩამოყალიბებაზე და, შესაბამისად, მსგავსება-განსხვავებაზე მოქმედებს. როგორც უკვე აღვნიშნე, ევროკავშირში ცხოველთა კეთილდღეობისა და მიუსაფარ ცხოველთა საკითხების სიმწვავე 1970-იან წლებში წამოიჭრა, რის შემდეგაც „ხელშეკრულება ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ“ და, შემდგომ, 1987 წელს, „შინაური კომპანიონი ცხოველების დაცვის ევროპული კონვენცია“ მიიღეს, რომლებიც მხარს მიუსაფარ ცხოველთა პოპულაციის მართვის ჰუმანურ მეთოდებსა და შესაბამისი პოლიტიკის ინსტრუმენტების გამოყენებას უჭერდა (The CARO Project, 2023). ამგვარი ადრეული ინიციატივების არსებობა საქართველოს პრაქტიკისგან განსხვავდება - საქართველომ, ევროკავშირთან დაახლოების ფარგლებში, ჰუმანური მეთოდების დანერგვა მხოლოდ 2010-იანი წლებიდან დაიწყო (პირისპირი ინტერვიუ, 06.05.24). პოლიტიკის ინსტრუმენტების დივერგენციის ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზი ისტორიულ განვითარებაში ამგვარი განსხვავებაა. ევროკავშირში მიუსაფარ ცხოველთა ჰუმანური

მართვისა და ცხოველთა კეთილდღეობის მხარდაჭერას ხანგრძლივი ისტორია აქვს, რაც თავად პოლიტიკის შემქმნელთა მხრიდან ამ საკითხებითა და, აქედან გამომდინარე, აღნიშნული პოლიტიკის ეფექტიანი ინსტრუმენტების ფორმირებით დაინტერესებას იწვევს. შესაბამისად, ის, რომ, ევროკავშირისგან განსხვავებით, საქართველოში სავალდებულო არ არის როგორც ბრიდერების, ისე ვეტერინართა ლიცენზირება; არ მოქმედებს მსგავსად გამართული, მკაცრი, ყოვლისმომცველი მოთხოვნები და რეგულაციები; ინფორმაციის გასავრცელებლად მოსახლეობასთან შეხვედრებისა და რეკლამირების ინსტრუმენტები; არ არის დაწესებული ცხოველთა ფლობის გადასახადები, ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის, სუბსიდირებისა და მათი თანადაფინანსების ინსტრუმენტებიც არ გამოიყენება, შეგვიძლია, სწორედ წარსულზე დამოკიდებულებით ავხსნათ.

განსხვავების მიზეზი - ხარჯების გაზრდის დაბალი პოლიტიკური ნება. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ საქართველოში მიუსაფარი ცხოველების პოლიტიკის ინსტრუმენტების განხორციელებისთვის გამოყოფილი რესურსების უდიდესი ნაწილი ხელფასებზე, ინვენტარსა და ინფრასტრუქტურაზე იხარჯება, შესაბამისად, მიუსაფარი ცხოველების რეალური საჭიროებებისთვის ნაკლები ფინანსები რჩება (პირისპირი ინტერვიუ, 06.05.24; 10.05.24). მეტიც, ზოგიერთი ექსპერტი ამტკიცებს, რომ გამოყოფილი თანხები ხშირად მითვისებულიცაა, რაც ხელფასებზე, ინფრასტრუქტურასა და ინვენტარზე თანხების გამოყოფით უფრო მარტივდება, ვიდრე ეს მიუსაფარი ცხოველების რეალური საჭიროებებისთვის სრულყოფილი და მრავალფეროვანი პოლიტიკური ინსტრუმენტების გამოყენებით იქნებოდა შესაძლებელი (პირისპირი ინტერვიუ, 06.05.24; 10.05.24). შესაბამისად, სუბსიდირების ინსტრუმენტის, აგრეთვე, ცხოველთა დაცვის ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის (რაც არასამთავრობო ორგანიზაციის მხრიდან ერთგვარი კონტროლის მექანიზმიც იქნებოდა), მათი თანადაფინანსების, მათთან ერთად აქტიური სარეკლამო კამპანიების ჩატარების სურვილი დაბალია, ვინაიდან პოლიტიკის მწარმოებელთათვის არახელსაყრელი ხარჯები გაიზრდება. საქართველოში ხარჯების გაზრდის დაბალი პოლიტიკური ნება ეწინააღმდეგება ევროკავშირის ქვეყნებში (სადაც ცხოველთა კეთილდღეობას უფრო მაღალი პრიორიტეტი ენიჭება) უფრო აქტიურად გამოყენებულ სუბსიდირებას, სარეკლამო კამპანიებს, ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობასა და მათ თანადაფინანსებას, რაც საქართველოსა და ევროკავშირს შორის მიუსაფარ ცხოველთა პოლიტიკის აღნიშნულ ინსტრუმენტთა განსხვავებას იწვევს. საინტერესოა, რომ ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია როგორც მსგავსების, ისე განსხვავების

მიზეზები. საერთაშორისო სამართლისა და სტანდარტების მეშვეობით ჰარმონიზაციის სურვილი შესაბამის ჩარჩოებს ადგენს, ხოლო საკომუნიკაციო არხები ერთმანეთის მსგავსი პოლიტიკის ინსტრუმენტების მიღებასა და გამოყენებას უზრუნველყოფს. თავის მხრივ, წარსულზე დამოკიდებულება გავლენას ახდენს საქართველოში პოლიტიკის ინერტულობაზე, რაც ცხოველთა კეთილდღეობისა და მიუსაფარ ცხოველთა პოლიტიკის პრიორიტეტულობის შემცირებას და, შესაბამისად, ხარჯების გაზრდის წინააღმდეგ წასვლას ხელს უწყობს.

დასკვნა

წინამდებარე კვლევა ეხება მიუსაფარ ცხოველთა პოლიტიკას საქართველოში და ევროკავშირის პრაქტიკას. შესაბამისად, კვლევის მიზანია მიუსაფარ ცხოველთა პოლიტიკის შესწავლა საქართველოში და მისი ევროკავშირის ქვეყნების პრაქტიკასთან შედარება. ეს კი განხორციელდა როგორც საქართველოს, ისე ევროკავშირის მიერ გამოყენებული მიუსაფარ ცხოველთა პოლიტიკის ინსტრუმენტების შესწავლითა და მათი შედარებითი ანალიზით. საქართველოში განხორციელებული მიუსაფარ ცხოველთა პოლიტიკა მასში ჩართული პირების - თბილისის მერიის სსიპ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს, რუსთავის ა(ა)იპ ცხოველთა მონიტორინგის ცენტრის, შიდა ქართლის მიუსაფარ ცხოველთა მართვის სააგენტოს, კახეთის მიუსაფარ ცხოველთა მართვის ინტერმუნიციპალური სააგენტოს წარმომადგენლებისა და სფეროს ექსპერტების - გამოცდილებისა და ცოდნის; ასევე, ცხოველთა ყოლის, მოვლა-პატრონობისა და მათი პოპულაციების მართვის შესაბამისი ქართული მარეგულირებელი ჩარჩოს, სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსებიდან ცხოველების მიმართ სასტიკად მოპყრობის მუხლებისა და ზემოხსენებული სააგენტოების წესდებების საფუძველზეა შესწავლილი; ევროკავშირში არსებული პრაქტიკა კი ევროკავშირის ქვეყნებში არსებული შესაბამისი კანონების, რეგულაციებისა და პოლიტიკის ინსტრუმენტების შესახებ კვლევების საფუძველზე შევისწავლე. აღნიშნულმა არამხოლოდ საქართველოსა და ევროკავშირის მიუსაფარ ცხოველთა პოლიტიკის ინსტრუმენტების დადგენის, არამედ, მათ შორის მსგავსება-განსხვავების პოვნისა და მათი მიზეზების გაგების შესაძლებლობა მომცა.

საქართველოსა და ევროკავშირის ქვეყნების მიერ განხორციელებული მიუსაფარ ცხოველთა პოლიტიკის გასაანალიზებლად, ანელიზა დოდის მიერ გაზიარებული პოლიტიკის ინსტრუმენტების მიდგომაა გამოყენებული. აღნიშნული ანალიტიკური ჩარჩო სხვადასხვა სახელმწიფოსა და სხვადასხვა სექტორში საჯარო პოლიტიკის შესწავლის საშუალებას იძლევა.

მიდგომაზე დაყრდნობით, კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ საქართველოში მიუსაფარ ცხოველთა პოლიტიკა, ძირითადად, სააგენტოების შექმნის, მოთხოვნების დანერგვის, რეგულირების, სახელმწიფო სააგენტოების ერთმანეთთან, კერძო კლინიკებთან და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის, შეთანხმებების, სახელმწიფო პროგრამების დაფინანსებისა და სერვისების მიწოდების, ინფორმაციის გავრცელების (ძირითადად ინტერნეტის, ბროშურებისა და სკოლებში პერიოდული ვიზიტების მეშვეობით) ინსტრუმენტებით ხორციელდება. შედარებითი ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ საქართველოს მიერ მიუსაფარ ცხოველთა პოლიტიკის განხორციელებისათვის გამოყენებული აღნიშნული ინსტრუმენტები ევროკავშირის მიერ გამოყენებული ამავე პოლიტიკის ინსტრუმენტების მსგავსია. რაც შეეხება განსხვავებებს, საქართველოში, ევროკავშირისგან (განსაკუთრებით, ზომიერი და მკაცრი რეგულაციების მქონე ქვეყნებისგან) განსხვავებით, არ გამოიყენება ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის, მათი თანადაფინანსების, სუბსიდირების, გრანტების ინსტრუმენტები, დაწესებული არ არის ცხოველთა ფლობის გადასახადები; ბრიდერთა და ვეტერინართა ლიცენზირების ინსტრუმენტები; აგრეთვე, არ გამოიყენება პოსტერებით, ტელევიზიით რეკლამირების, მოსახლეობასთან ხშირი და მასობრივი შეხვედრებით, სპეციალური სასკოლო სასწავლო პროგრამებით ცხოველთა თავშესაფრებიდან აყვანის, ცხოველთა სწორად მოვლა-პატრონობისა და მიუსაფარ ცხოველთა შესახებ ცნობიერების ამაღლების ინსტრუმენტები; ფრაგმენტული და მწირია ცხოველთა მოვლა-პატრონობასთან, მიუსაფარ ცხოველებსა და მათ ევთანაზიასთან დაკავშირებული კანონები; მოთხოვნები და რეგულაციები კი, ევროკავშირში (განსაკუთრებით, მკაცრი და ზომიერად მკაცრი რეგულაციების მქონე ქვეყნებში) არსებულ იმავე სახის მოთხოვნებსა და რეგულაციებთან შედარებით, ნაკლებად მკაცრია (რეგულაციების აღსრულების მონიტორინგი და, შესაბამისად, აღსრულება კი უფრო სუსტია).

საქართველოსა და ევროკავშირის მიერ გამოყენებულ მიუსაფარ ცხოველთა პოლიტიკის ინსტრუმენტებს შორის მსგავსება-განსხვავების მიზეზები ნილის (2005) კონვერგენციისა და დივერგენციის თეორიითაა ახსნილი. თეორიის მიხედვით, ინსტრუმენტების მსგავსება (კონვერგენცია) და განსხვავება (დივერგენცია), შესაძლოა, რამდენიმე მიზეზით მოხდეს: პოლიტიკის პირობების გავლენით (Knill, 2005); მსგავსი პრობლემების მსგავსი გზებით დამოუკიდებლად გადაჭრით (Collier & Messick, 1975); ძლიერი ქვეყნების მიერ სუსტებისათვის პოლიტიკის მიღების იძულებით (Knill, 2005); საერთაშორისო ან ზესახელმწიფოებრივი სამართლის მეშვეობით პოლიტიკის ჰარმონიზაციით (იქვე); კომუნიკაციით (იქვე); მსგავსი სოციალური და

ეკონომიკური პირობების მქონე ქვეყნების მიერ მსგავსი პოლიტიკის ინსტრუმენტების არჩევით (Lowi, 1964). კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ინსტრუმენტთა მსგავსების მიზეზები ევროკავშირის ქვეყნებთან მიუსაფარი ცხოველების პოლიტიკისა და, შესაბამისად, ინსტრუმენტების ჰარმონიზაცია და კომუნიკაციაა, ხოლო განსხვავების მიზეზები საქართველოში წარსულზე დამოკიდებულება და ხარჯების გაზრდის დაბალი პოლიტიკური ნებაა (პოლიტიკის პირობების კომპონენტები). მსგავსებათა და განსხვავებათა მიზეზები ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია. საერთაშორისო კანონებისა და სტანდარტების მეშვეობით ჰარმონიზაციისკენ სწრაფვა შესაბამის ჩარჩოებს ადგენს, ხოლო საკომუნიკაციო არხები ერთმანეთის მსგავსი პოლიტიკის ინსტრუმენტების მიღებასა და გამოყენებას უწყობს ხელს. წარსულზე დამოკიდებულება საქართველოში იწვევს პოლიტიკურ ინერციას, რაც ცხოველთა კეთილდღეობისა და მიუსაფარ ცხოველთა პოლიტიკის პრიორიტეტულობას აქვეითებს და, შესაბამისად, ხარჯების გაზრდას წინააღმდეგობას უწევს.

საქართველოში მიუსაფარ ცხოველებთან დაკავშირებულ საკითხებზე კვლევები მწირია და, ძირითადად, მხოლოდ მათი უფლებების დაცვას შეეხება. ისინი არ აკეთებენ აქცენტს მიუსაფარ ცხოველთა პოლიტიკის ინსტრუმენტებზე და, მით უფრო, ამ პოლიტიკის ინსტრუმენტების ევროკავშირის წევრი ქვეყნების ინსტრუმენტებთან შედარებაზე. შესაბამისად, მოცემული კვლევა პირველია, რომელიც საქართველოში მიუსაფარ ცხოველთა პოლიტიკის ინსტრუმენტებს შეისწავლის, ევროკავშირის პრაქტიკასთან შედარებით ანალიზს ახორციელებს და მათ შორის მსგავსება-განსხვავების მიზეზებს ადგენს. აქედან გამომდინარე, თეორიული თვალსაზრისით, წინამდებარე კვლევა, შესაძლოა, საფუძველი იყოს ისეთი მომდევნო კვლევებისათვის, რომლებიც საქართველოში მიუსაფარ ცხოველთა პოლიტიკის რომელიმე კონკრეტულ ინსტრუმენტზე სიღრმისეულად ფოკუსირდება, შეაფასებს მის ეფექტიანობას და ევროკავშირის რომელიმე ქვეყნის ან ქვეყნების მაგალითებს შეადარებს; აგრეთვე, მოცემული კვლევა, შესაძლოა, გახდეს ისეთი კვლევების საფუძველიც, რომლებიც საქართველოსა და ევროკავშირის ქვეყნებში მიუსაფარ ცხოველთა პოლიტიკის ინსტრუმენტების ევოლუციას შეისწავლის და მის შედეგებს შეაფასებს. აღსანიშნავია კვლევის პრაქტიკული ღირებულებაც. ევროკავშირში არსებული პოლიტიკის ინსტრუმენტებისა და მიდგომების შესწავლა საქართველოს (განსაკუთრებით, როგორც ევროკავშირში გაერთიანების მსურველ ქვეყანას) არსებული პრობლემების იდენტიფიცირებაში და, სამომავლოდ, მიუსაფარ ცხოველთა პოლიტიკის საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან შესაბამისობაში მოყვანის თვალსაზრისითაც დაეხმარება.

გამოყენებული ლიტერატურა

Abdulkarim, A., Goriman Khan, M. A. K. B., & Aklilu, E. (2021). Stray Animal Population Control: Methods, Public Health Concern, Ethics, and Animal Welfare Issues. *World's Veterinary Journal*, 11(3), 319–326.

<https://doi.org/10.54203/scil.2021.wvj44>

Ahmad, A., Syaidatul Bt. Mohd. Adzmi, P., Nur Ikhwan Bin Amernudin, A., & Fazini Asro Bt. Ramzi Sulaiman, N. (2021). Enhancing Legal Protection of Stray Animals Welfare Through Society Intervention And Enforcement in Malaysia. *Studies of Applied Economics*, 39(10).

<https://doi.org/10.25115/eea.v39i10.6016>

Baka, A., Ntorli, V., & Argyri, P. (2020). Animal rights. *Open Schools Journal for Open Science*, 3(3).

<https://doi.org/10.12681/osj.23357>

Cardoso, S. D., Faraco, C. B., de Sousa, L., & Da Graça Pereira, G. (2017). History and evolution of the European legislation on welfare and protection of companion animals. *Journal of Veterinary Behavior*, 19, 64–68. <https://doi.org/10.1016/j.jveb.2017.01.006>

Collier, D., & Messick, R. E. (1975). Prerequisites Versus Diffusion: Testing Alternative Explanations of Social Security Adoption. *American Political Science Review*, 69(4), 1299–1315.

<https://doi.org/10.2307/1955290>

David, P. A. (2007). Path dependence: a foundational concept for historical social science. *Cliometrica*, 1(2), 91–114. <https://doi.org/10.1007/s11698-006-0005-x>

Dodds, A. (2013). *Comparative Public Policy* (p. 29). PALGRAVE MACMILLAN. England.

<https://doi.org/10.1007/978-1-137-28489-1>

Dufala, M., & Grešová, L. (2021). Do Animals Have Any Rights in Slovakia? *Studia Iuridica Lublinensia*, 30(3), 47–65. <https://doi.org/10.17951/sil.2021.30.3.47-65>

ESDAW. (n.d.). *The pet and stray framework*. Retrieved May 5, 2024, from <https://www.esdaw.eu/-the-pet-and-stray-framework.html>

Eurogroup for Animals. (2023). *Extreme breeding in Europe - Mapping of legislation*

[https://www.eurogroupforanimals.org/files/eurogroupforanimals/2023-](https://www.eurogroupforanimals.org/files/eurogroupforanimals/2023-11/2023_11_30_Extreme%20breeding%20in%20Europe%20-%20Mapping%20of%20legislation%20FINAL.pdf)

[11/2023_11_30_Extreme%20breeding%20in%20Europe%20-](https://www.eurogroupforanimals.org/files/eurogroupforanimals/2023-11/2023_11_30_Extreme%20breeding%20in%20Europe%20-%20Mapping%20of%20legislation%20FINAL.pdf)

[%20Mapping%20of%20legislation%20FINAL.pdf](https://www.eurogroupforanimals.org/files/eurogroupforanimals/2023-11/2023_11_30_Extreme%20breeding%20in%20Europe%20-%20Mapping%20of%20legislation%20FINAL.pdf)

European Convention for the Protection of Pet Animals. (1987, November 13). COE; Council of Europe. <https://rm.coe.int/168007a67d>

Four Paws International. (n.d.). *FAQs about Stray Animal Care*. Retrieved March 18, 2024, from

<https://www.four-paws.org/about-us/faqs-collection/faqs-stray-animal-care>

Four Paws International. (2023, April 4). World Stray Animals Day 2023. <https://www.four-paws.org/our->

[stories/press-releases/april-2023/world-stray-animals-day-2023](#)

Günzel-Apel, A. R. (1998). [Early castration of dogs and cats from the point of view of animal welfare]. *DTW. Deutsche Tierärztliche Wochenschrift*, 105(3), 95–98. <https://pubmed.ncbi.nlm.nih.gov/9581375/#:~:text=The%20castration%20of%20dogs%20and>

IDFI. (2018). ცხოველთა მიმართ სსსტოვი და არასათანადო მოპყრობის მდგომარეობა საქართველოში. https://idfi.ge/public/upload/IDFI_2019/visegrad/Animal_Cruelty_Georgian.pdf

Knill, C. (2005). Introduction: Cross-national policy convergence: concepts, approaches and explanatory factors. *Journal of European Public Policy*, 12(5), 764–774. <https://doi.org/10.1080/13501760500161332>

Kostić, B. (2016). *EKOLOŠKI I DRUŠTVENI ZNAČAJ REŠAVANJA PROBLEMA NAPUŠTENIH PASA NA TERITORIJI GRADA KRUŠEVCA [ECOLOGICAL AND SOCIAL SIGNIFICANCE OF SOLVING THE PROBLEM OF ABANDONED DOGS IN THE TERRITORY OF THE CITY OF KRUSEVCA]*. <https://nardus.mpn.gov.rs/bitstream/id/59126/Disertacija8055.pdf>

Kruk, E. (2021). Polish and Estonian Regulations on Homeless (Stray) Animals. *Studia Iuridica Lublinensia*, 30(1), 145. <https://doi.org/10.17951/sil.2021.30.1.145-166>

Kumar, S. (2002). Stray dogs are a growing threat to public health. *BMJ: British Medical Journal*, 325(7355), 66.

<https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC1169392/>

Laatu, S. (2013). *The Development of Animal Welfare in Finland and How People Perceive Animal Welfare: Case Study: Animals in Tourism: Zoos*. Wwww.theseus.fi. <https://www.theseus.fi/handle/10024/62319>

Lashina, E. A. (2020). Whiskers, paws, tail. An owner? How different countries deal with the problem of stray animals. *Animal Law*, 85–91. https://pravo.hse.ru/data/2020/05/11/1545944546/Animal_Law_vysokoe_kachestvo.pdf

Legge, D. (2022). Key animal law across Europe. In *Routledge Handbook of Animal Welfare*. Routledge. <https://www.taylorfrancis.com/chapters/oa-edit/10.4324/9781003182351-36/key-animal-law-across-europe-debbie-legge>

Liu, Z. (2022, December 30). *Analysis on the Development of Animal Protection in France and the Feasible Plans in China*. Wwww.atlantis-Press.com; Atlantis Press. https://doi.org/10.2991/978-2-494069-89-3_227

Lowi, T. J. (1964). American Business, Public Policy, Case-Studies, and Political Theory. *World Politics*, 16(4), 677–715. <https://doi.org/10.2307/2009452>

Mayhew Georgia. (2024, February 3). *Home* [Facebook Page].

Facebook. <https://www.facebook.com/MayhewGeorgia/posts/pfbid02f3uX4nF3oj6T1D2ajzsLb1uoU6EtsAFdUmvUqCh8LBNb3CYg997GWUGMgQ7c75n8l>

Meli, S. (2022). *International Best Practice: Possible Solutions of the Stray Animal Problem*. <http://www.huveta.hu/bitstream/handle/10832/3552/513995337.pdf?sequence=1&isAllowed=y>

Mellor, D. (2016). Updating Animal Welfare Thinking: Moving beyond the “Five Freedoms” Towards “A Life Worth Living.” *Animals*, 6(3), 21. <https://doi.org/10.3390/ani6030021>

More, S. J., Collins, D. M., Meunier, N. V., Messam, L. L. McV., Doyle, R., Maguire, A., Murray, S., Reilly, P., & Lawler, C. (2022). Understanding the dog population in the Republic of Ireland: insight from existing data sources? *Irish Veterinary Journal*, 75(1). <https://doi.org/10.1186/s13620-022-00223-8>

Munk, R. (2017). *AN EFORT TO INCREASE THE LEGAL PROTECTION OF ANIMALS IN THE SLOVAK REPUBLIC*. https://www.magnanimitas.cz/ADALTA/0702/papers/A_munk.pdf

Natoli, E., Ziegler, N., Dufau, A., & Pinto Teixeira, M. (2019). Unowned Free-Roaming Domestic Cats: Reflection of Animal Welfare and Ethical Aspects in Animal Laws in Six European Countries. *Journal of*

Applied Animal Ethics Research, 1–19. <https://doi.org/10.1163/25889567-12340017>

NDI. (2023). *Taking Georgians’ pulse (October–November 2023 Public Opinion Polls)*. <https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20Georgia%20GGF%20poll%20October%202023%20Eng%20VF.pdf>

Papavasili, T., Kontogeorgos, A., Mavrommati, A., Sossidou, E. N., & Chatzitheodoridis, F. (2022). *REVIEW OF STRAY DOG MANAGEMENT: DOG DAYS IN THE EUROPEAN COUNTRIES*. [Www.uni-sz.bg](http://www.uni-sz.bg); *Bulgarian Journal of Veterinary Medicine*. <http://tru.uni-sz.bg/bjvm/2022-0035%20OnFirst.pdf>

Pencea, R., & Brădăţan, T. (2015). Stray Dogs in Romania –Policies, legal framework and solutions. In *Friedrich Ebert Stiftung*. <https://library.fes.de/pdf-files/bueros/bukarest/11281-20150428.pdf>

Report on the OIE’s International Standard on Stray Dog Population Control. (2015, June 12). World Animal Net.

https://worldanimal.net/images/stories/documents/Stray_control_report_FINAL.pdf

Sandøe, P., Jensen, J., Jensen, F., & Nielsen, S. (2019). Shelters Reflect but Cannot Solve Underlying Problems with Relinquished and Stray Animals—A Retrospective Study of Dogs and Cats Entering and Leaving Shelters in Denmark from 2004 to 2017. *Animals*, 9(10), 765. <https://doi.org/10.3390/ani9100765>

Environment and Society, N11, July, 2024, pp.128-169

Seimenis, A., & Tabbaa, D. (2014). Stray animal populations and public health in the South Mediterranean and the Middle East regions. *Veterinaria Italiana*, 50(2), 131–136.

<https://doi.org/10.12834/VetIt.48.134.3>

Sinchilo, E. I. (2020). Education on animal care and protection in Russia and the EU: How to make animal protection an issue of national importance? *Animal Law*, 74–84.

https://pravo.hse.ru/data/2020/05/11/1545944546/Animal_Law_vysokoe_kachestvo.pdf

Șoldănescu, T.-L. (2021). *Illusory or effective? The protection provided by the Romanian authorities to stray dogs*. Drept.unibuc.ro.

https://drept.unibuc.ro/documente/dyn_img/aubd/T.%20Soldanescu%20-%20Illusory%20or%20effective%20The%20protection%20provided%20by%20the%20Romanian%20authorities%20to%20stray%20dogs.pdf

Sternheim, I. (2012). How Holland became free of Stray dogs. Dogresearch. In *Stray Animal Foundation Platform*.

https://www.stray-afp.org/nl/wp-content/uploads/sites/2/2015/11/DR_Dutch_Straydogs1.pdf

Taruskaite-Vanebo, S. (2014). The policies of stray pet population control in Lithuania : a study of government contractors as opposed to non-profit volunteer based organizations. <http://hdl.handle.net/11250/187963>

Tasker, L. (2007). *Stray Animal Control Practices (Europe) A report into the strategies for controlling*

stray dog and cat populations adopted in thirty-one countries. This report is based upon questionnaire responses returned by Member Societies and Associated Organisations of WSPA and RSPCA International (2006-2007).

<https://www.stray-afp.org/nl/wp-content/uploads/2012/09/WSPA-RSPCA-International-stray-control-practices-in-Europe-2006-2007.pdf>

The CARO Project. (2022, September 27). *Population Management*. <https://www.caro-project.org/caro-focus-and-positions/population-management>

The CARO Project. (2023). *Population Management (EU)*. Retrieved June 17, 2024, from <https://www.caro-project.org/caro-database/caro-at-eu-level/population-management-eu>

Turner, P., Berry, J., & Macdonald, S. (2012). Animal shelters and animal welfare: raising the bar. *The Canadian Veterinary Journal = La Revue Veterinaire Canadienne*, 53(8), 893–896. <https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC3398531/>

Vasileva, I., & McCulloch, S. (2023). *Attitudes and Behaviours Towards Cats and Barriers to Stray Cat Management in Bulgaria*. 1–15. <https://doi.org/10.1080/10888705.2023.2186787>

Voslárová, E., & Passantino, A. (2012). Stray dog and cat laws and enforcement in Czech Republic and in Italy. *Annali Dell'Istituto Superiore Di Sanita*, 48(1), 97–104. https://doi.org/10.4415/ANN_12_01_16

Zoltán, T. (2012). *THE REGULATION OF ANIMAL PROTECTION IN HUNGARY.*

<https://www.ssoar.info/ssoar/bitstream/handle/document/44298/ssoar-jogszemle-2012-4-toth-Animal Protection and Animal rights.pdf;jsessionid=ED6B57B92695959204C696829017FF42?sequence=1>

ა(ა)იპ მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის კახეთის ინტერმუნციპალური სააგენტო. (2021, July 22). *ა(ა)იპ მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის კახეთის ინტერმუნციპალური სააგენტოს წესდება*

ა(ა)იპ მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის შიდა ქართლის ინტერმუნციპალური სააგენტო. (2021, July 2). *ა(ა)იპ მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის შიდა ქართლის ინტერმუნციპალური სააგენტოს წესდება - წევრთა შეთანხმება.* Gori.gov.ge. https://gori.gov.ge/index.php?m=395&services_id=17

გვასალია, ც. (2020, January 27). *სამედიცინოდ დაუსაბუთებელი ცხოველთა ევთანაზიები.* Cactus-Media.ge. <https://cactus-media.ge/index.php?do=full&id=220&fbclid=IwAR3fyPwvhQAawjhMcvH5MaB8YpEnmL0kb6aOIdkkUyRnyJgp0bBd4VqSHWs>

თელავის მუნიციპალიტეტი. (2022, September 29). *თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბინადარი შინაური ცხოველების (ძაღვები და კატები) მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების მართვის წესის დამტკიცების შესახებ.* საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/5579075?publication=0>

მიუსაფარი ცხოველები - პრობლემები და გამოწვევები. (2018, June 18). ქრონიკა პლუსი. <https://qronikaplus.ge/%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A4%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%AA%E1%83%AE%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98- -%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D/>

რა საკითხებს მოიცავს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება? (2014, June 27). IDFI. <https://idfi.ge/ge/the-content-of-the-eu-georgia-association-agreement>

საქართველოს პარლამენტი. (2010, December 15). *საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ.* საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1160537?publication=0>

საქართველოს პარლამენტი. (2014, February 5). *საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი.* საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429?publication=72>

საქართველოს პარლამენტი. (2019, May 29). საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4561093?publication=0>

საქართველოს პარლამენტი. (2023, June 30). საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.

<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/584675?publication=0#DOCUMENT:1>

სსიპ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო. (2015). სსიპ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს ისტორია. <http://ama.gov.ge/page/257>

სსიპ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო. (2016, March 24). „Mayhew International“ - ის ხელმძღვანელი თავშესაფარს ეტყუმა. <http://ama.gov.ge/news/2268>

სსიპ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო. (2018). მიმდინარე პროექტები. Ama.gov.ge. <http://ama.gov.ge/page/282>

სსიპ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო. (2022). ხშირად დასმული კითხვები. Retrieved 8 June, 2024, from <http://ama.gov.ge/page/301>

სსიპ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო. (2024, June 17). DOG TRUST-ის ექსპერტის ვიზიტი გრძელდება. <http://ama.gov.ge/news/16180>

ფიფია, დ., & გაბუნია, ქ. (2020, June 25). უსახლკარო ცხოველები საქართველოში. რატომ არ მცირდება მათი რიცხვი. JAMnews საქართველო. <https://jam-news.net/ge/mawanwala-ckhovelebi-saqartveloshi/>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი. (2015, April 6). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოველების (ძაღლების, კატების) მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების მართვის წესის დამტკიცების შესახებ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2805510?publication=0>

ქალაქ რუსთავის ა(ა)იპ ცხოველთა მონიტორინგის ცენტრი. (2021). ა(ა)იპ ქალაქ რუსთავის ცხოველთა მონიტორინგის ცენტრის წესდება

წულაძე, ლ. (2020). სოციოლოგიური კვლევის თვისებრივი მეთოდები. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. http://css.ge/wp-content/uploads/Tsuladze_Sociologiuri_Kvlevis_Tvisebrivi_Metodebi.pdf